645/1958/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 11 ნოემბერი 1958 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# უძლიერესი, უდიდებულესი



დიდი საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი ხალხი და მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ წელს მსოფლიოში ყველაზე უძლიერესსა და უდიდებულეს თარიღს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს, იმ რევოლუციისა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა ეროვნული კატასტროფისაგან, გაანთავისუფლა იგი მსოფლიო იმპერიალიზმზე დამოკიდებული, ნახევრად კოლონიური მდგომარეობისაგან, იხსნა მუშები და გლეხები შიმშილით სიკვდილისაგან და ფართო გზა გაუკაფა მთელს კაცობრიობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

„ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დაგვეწყო ამით მსოფლიოს ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა, იმ კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში დაჩაგრულია და ყველგან ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისა და იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის",—ვ. ი. ლენინის ეს შესანიშნავი სიტყვები დღეს განსაკუთრებული ძალით ჟღერს.

ახლა მსოფლიოს უშორეს ადგილებშიაც კარგად იციან ხალხებმა, რას ნიშნავს ოქტომბრის რევოლუცია და რაში მდგომარეობს მისი ძალა და უძლეველობა.

ახლა მტრებიც კი ველარ უარყოფენ იმ გრანდიოზულ მიღწევებს, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია.

ახლა, როცა ჯამი გაუკეთდა 41 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებს — სოციალისტური დემოკრატიის აყვავება, საბჭოთა კავშირში მოსახლე თავისუფალ ერთა და ეროვნებათა ურღვევი თანამეგობრობა, სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების უმაგალითო ზრდა, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის რეალური ნაყოფია — სიამაყის გრძნობით ალავსებს ყოველი საბჭოთა ადამიანის გულს.

ამ გამარჯვებებს ჩვენი ხალხი უმადლის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლისა და სოციალიზმის მშენებლობის, მის მონაპოვართა დაცვისათვის სახავდა ისეთ ამოცანებს, აყენებდა ისეთ ლოზუნგებს, რაც შეესაბამებოდა მასების სასიცოცხლო და საარსებო ინტერესებს, საზოგადოებრივი განვითარების გადაუდებელ მოთხოვნილებებს. ეს ამოცანები და ლოზუნგები აღაფრთოვანებდა მუშათა კლასს, გლეხობას, ინტელიგენციას — მთელს ჩვენს ხალხს შემოქმედებითი ბრძოლისათვის და იწვევდა მათში ენერგიის ახალ-ახალ მოზღვავებას.

პარტიისა და ხალხის ნებისა და მიზნის ერთიანობის, პარტიის ყველა მოწოდებაზე მასების მხურვალე მხარდაჭერის დადასტურებაა სახალხო მეურნეობაში 1958 წელს მოპოვებული გამარჯვებები. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1958 წლის 10 თვეში 108 და მეტი პროცენტით შესრულდა. მარტო სამრეწველო პროდუქციის მატება აღემატება მეფის რუსეთის 1913 წლის მთელ წარმოებას: ელექტროენერგიისა — 12-ჯერ, ნავთობისა — 1,5 და მეტჯერ, ცემენტისა — 3-ჯერ. რევოლუციამდელ რუსეთთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება 36-ჯერ მეტია. სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო წელს დააბანდებს 230 მილიარდ მანეთზე მეტს, ვიდრე 1957 წელს და ეს თანხა აღემატება პირველ და მეორე ხუთწლედების ყველა წლებში დაბანდებულ თანხას.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებების განუხრელად გატარებამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს სოფლის მეურნეობის განვითარებაში და დიდ თვალსაჩინო წარმატებების მიღწევას. პურის დამზადების გეგმა 1958 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ვადამდე. პირველი ოქტომბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 3 მილიარდ 491 მილიონი ფუთი მარცვლეული, ანუ მილიარდ 329 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე დამზადებული იყო 1957 წელს. მარცვლეულის წარმოების მკვეთრი აღმავლობა უზრუნველყო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ. ამ საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩვენმა ახალგაზრდობამ — კომკავშირმა, რომელმაც ამ ცოტახნის წინათ აღნიშნა თავისი არსებობის სახელოვანი 40 წელი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. 8 პროცენტით გადიდდა წელს ნაციონალური შემოსავალი. 1,5 მილიონი კაცით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი, ხოლო ხელფასის ფონდი — 6 პროცენტით. გაიშალა მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა 7-6-საათიანი სამუშაო დღეზე გადაყვანისათვის. მთელი დახმარებისა და შეღავათების საერთო თანხა, რომელსაც მოსახლეობა იღებს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, წელს 215 მილიარდ მანეთს აღემატება, ანუ 14 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე გასულ წელს. მარტო პენსიები გაიცემა 64 მილიარდი მანეთი, ერთიორად მეტი, ვიდრე 1955 წელს. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გადიდდა 20 პროცენტზე მეტით, მიმდინარე წელს გაიყიდება 2,-7ჯერ მეტი საქონელი, ვიდრე 1940 წელს.

არნახული ტემპებია აღებული საბინაო მშენებლობის დარგში. 1957 წელს. მარცვლეულის წარმოების მკვეთრი აღმავლობა უზრუნკვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, რაც ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე მეორე ხუთწლედში.

სერიოზული ღონისძიებებია დასახული სახალხო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისა და ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის, კულტურისა და ხელოვნების კიდევ უფრო გაფურჩქვნააყვავებისათვის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების განხორციელებას წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოების — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის — ერთიანი ბანაკი, ერთიანი ფრონტით რომ მიდიან წინ დიდი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირისა და მასთან ერთად ყველა სოციალისტური

7753



თბილისი



სრულიად რუსეთის მუშა ქალთა პირველი ყრილობის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი ქალთა რესპუბლიკური შეკრების პრეზიდიუმი.

ფოტო გ. ვახტანგაძის.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ზრდა, მათი ყოველდღიური წარმატებანი შიშის ზარსა სცემენ იმპერიალისტებს. ისინი ყოველნაირად ცდილობენ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, ისწრაფვიან შეინარჩუნონ და გააფართოონ კაპიტალისტური ექსპლოატაციის და კოლონიური ჩაგვრის სფერო.

მაგრამ ამჟამად მსოფლიოში ისე გამრავლდნენ და გაიზარდნენ მშვიდობისმომხრე ძალები, ისე მძლავრია მათი ბანაკი, რომ თუ ისინი ერთიანი ფრონტით წინაღუდგებიან ომის გამჩაღებლებს, შესძლებენ მათს ალაგმვას.

ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებულ ყველა ამ წარმატებათა უშუალო მონაწილეა საბჭოთა ქალი, რომელსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მიანიჭა რა სრული თანასწორუფლებიანობა მამაკაცთან, ფართო ასპარეზი გადაუშალა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მათი ხელმძღვანელები ერთერთ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალთა საკითხის გადაჭრას და მას პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სრულ თავისუფლებას, თუ არ მოიპოვა თავისუფლება ქალებისათვის, და რომ სოციალიზმის მშენებლობა მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა მიღწეულ იქნება ქალის სრული თანასწორობა მამაკაცთანო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალმა საქმით დაამტკიცა, რომ იგი ახალი კომუნისტური საზოგადოების შენების სახელოვანი მონაწილეა და უნარიანად ათავსებს დედის, მეუღლის, მეგობრისა და საზოგადო მოღვაწის დიდსა და საპატიო მოვალეობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა ქალთა ახალახალი თაობები, რომელთა სულიერი სილამაზით, მამაცობითა და ნებისყოფით ამაყობენ არამარტო ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელები, რომლებიც იბრძვიან პოლიტიკური და ეკონომიური უფლებებისათვის, რომელთაც ამ ბრძოლაში გზას უნათებს საბჭოთა ხალხის შრომის დიდი და მდიდარი გამოცდილება.

წელს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის ზეიმს დაემთხვა მუშა ქალთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის 40 წლისთავი, რომელიც მოწვეულ იყო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ქალაქ მოსკოვში, 1918 წლის 16-21 ნოემბერს.

ყრილობამ უდიდესი როლი შეასრულა ქალთა შორის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემუშავების საქმეში. მან საფუძველი ჩაუყარა ქალთა პოლიტიკური განათლების საქმეს, რამაც უზრუნველჰყო შემდგომში ქალთა ფართო მასების აქტიურად ჩაბმა რევოლუციის მონაპოვრის დაცვასა და სოციალისტურ მშენებლობაში.

მას შემდეგ ახალი საბჭოთა ქალი ყოველთვის მამაკაცის მხარდამხარ იდგა და ახლა ყრილობიდან 40 წლის შემდეგ მას საფუძველი აქვს იამაყოს ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე თავდადებული შრომითა და ბრძოლით მოპოვებული გამარჯვებებით.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მთელი ჩვენი ქვეყნის ქალები აღნიშნავენ ახალი მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში — ისინი გულდასმით და აღფრთოვანებით ეცნობიან და სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობისათვის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების—„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ — თეზისებს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ემზადებიან ახალახალი წარმატებებით შეხვდნენ ყრილობას.



სტუმრები თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. წინა პლანზე მარცხნიდან — ა. ზავადსკი, ვ. გომულკა, ვ. მჟავანაძე, ა. კირიჩენკო.

ფოტო გ. ვახტანგაძის.

# მეგობრები პოლონეთიდან

მეგობართა არაერთი ამაღელვებელი შეხვედრის მოწმეა ქალაქი თბილისი, მისი კარები ყოველთვის სტუმართმოყვარულად იღება მოყვასისათვის. ამ ცოტა ხნის წინათაც ეწვივნენ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს სასურველი სტუმრები ადამ მიცკევიჩისა და ფრედერიკ შოპენის ქვეყნიდან. სახელოვანი შვილები იმ ხალხისა, რომელთანაც ჩვენი ხალხი დიდი ხნის მეგობრობით არის დაკავშირებული, გვეწვივნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ვლადისლავ გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზავადსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი და პოლონეთის სხვა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი; გულთბილად შეეგებნენ თბილისელი მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს და ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ა. კირიჩენკოს, რომელიც პოლონელ მეგობრებს ჩამოყვა.

პოლონელი ხალხის წარმომადგენელთა საქართველოში ყოფნის დღეები მეგობარი ხალხების მხურვალე სიყვარულისა და ძმობის ზეიმის დღეები იყო. მიტინგსა თუ შეხვედრებზე, დარბაზობასა თუ საწარმოში — ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდნენ ძვირფასი სტუმრები, მთელი ძალით ვლინდებოდა ურთიერთ პატივისცემის, ძმობისა და მეგობრობის ის დიადი გრძნობა, რითაც ასე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ადამიანები — რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ და მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი.

ამაზე აკი ასე ხატოვნად თქვა თვით ამხ. ვ. გომულკამ თბილისში ჩამოსვლისას:

„სახალხო პოლონეთი რამდენიმე ათას კილომეტრზეა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან, ჩვენ გვყოფს ფართო მდინარეები და მაღალი, ცაში აღმართული მთის ქედები, მაგრამ ჩვენ გვაერთებს უაღრესად მტკიცე კავშირი, როგორიც კი შეიძლება აერთიანებდეს ადამიანებს და ხალხებს. ჩვენ გვაერთებს მეგობრობის გრძნობა."

ცოტა ხანი, ორი დღე დაჰყვეს საქართველოს მიწა-წყალზე პოლონელმა სტუმრებმა, მაგრამ ეს მოკლე დროც უაღრესად მნიშვნელოვანია თავისი შედეგებით, მან ხელი შეუწყო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებას.

მიაცილებდნენ რა ძვირფას სტუმრებს, ქართველმა ხალხმა, თბილისელმა მშრომელებმა მათ უთხრეს არა მშვიდობით, არამედ ნახვამდის, როგორც ეს განაცხადა აეროდრომზე გამომშვიდობებისას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. მჟავანაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენ ვუსმენდით ლენინს

1918—საბჭოთა ხელისუფლებას გამარჯვების პირველი წელი. წელი უდიდესი სიძნელეებით აღსავსე მშრომელთა სახელმწიფოსათვის. მსოფლიოს იმპერიალისტები ურცხვად გადმოვიდნენ შეტევაზე. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა შინაგანმა კონტრრევოლუციამ. რეაქციული ძალები ცდილობენ შექმნილი მდგომარეობის გამოყენებას, შიმშილი, სიღატაკე, ქალთა მასების საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, შესაძლებლობას აძლევდა მტერს ქალთა შორის გამოეწვია დაბნეულობა, უნდობლობა, საჭირო იყო მშრომელ ქალთა ფართო მასების მიმხრობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი აქტიურად ჩაბმა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, სოციალისტური სახელმწიფოს ასაშენებლად.

პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1918 წლის 8 მარტს მოეწვია სრულიად რუსეთის ქალთა ყრილობა, მაგრამ სამოქალაქო ომის პირობებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და იგი რამდენიმე თვით გადაიდო.

ყრილობის წინ დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა. გამოცდილი აგიტატორები გაიგზავნენ ქალაქად ფაბრიკებსა და ქარხნებში, სოფლად ღარიბთა კომიტეტებში. ყველგან ტარდებოდა კრებები. იწვევდნენ საქალაქო, საოლქო, სამაზრო კონფერენციებს. ირჩევდნენ ყრილობის დელეგატებს; სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებიდან, სამოქალაქო ომის მონაწილე ქალებმაც აირჩიეს ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. ამ სამზადისს ხელმძღვანელობდნენ ქალთა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები: ა. კოლონტაი. კ. სამოილოვა, კ. ნიკოლაევა და სხვები.

ადგილობრივმა და ცენტრალურმა გაზეთებმა დიდი ადგილი დაუთმეს ქალთა ყრილობის სამზადისს. იმ ხანებში გაზეთი «პრავდა» ქალებისადმი მიმართვაში წერდა: ფრთხილად, მოფიქრებით აირჩიეთ თქვენი დელეგატები. ყრილობაზე ჩამოვლენ ის მუშა და გლეხი ქალები, რომლებიც თავისი დაკოჟრილი ხელებით აშენებენ ახალ, საბჭოთა რუსეთს.

დიდი ვაივაგლახით მოაღწიეს მოსკოვს ყრილობის დელეგატებმა. რას ნიშნავდა ხალხის მამაცი ასულებისთვის სიცივე, გაპარტახებული ტრანსპორტი, ტანისამოსისა და საჭმელ-სასმელის ნაკლებობა, ოდეს წინ დიდი საქვეყნო საქმე ეძახდათ.

1918 წლის 16 ნოემბერს, საბჭოების სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სრულიად რუსეთის ქალთა ყრილობა. ყრილობას 1147 დელეგატი ეწვია. დელეგატებს მიესალმა ამხანაგი ი. სვერდლოვი. ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს გამოჩენილი ბოლშევიკი კ. ნიკოლაევა. ყრილობის ხელმძღვანელებს შორის იყვნენ ნ. კრუპსკაია, მ. ულიანოვა. ვ. მაიეროვა, ვ. გოლუბეევა და სხვები, გამოჩენილი კომუნისტები. ყრილობის საპატიო დელეგატებად აირჩიეს ვ. ი. ლენინი, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი.

ყრილობის დელეგატი ქალები სანახევროდ ტიტველნი, სანახევროდ მშიერნი შეიკრიბნენ დედაქალაქში, რათა იმსჯელონ თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ტრიბუნაზე ერთი მეორეს ცვლიდნენ ორატორები... იხილებოდა საკითხები: «მუშა ქალების ამოცანები საბჭოთა რუსეთში», «ოჯახი და კომუნისტური სახელმწიფო», «სოციალური უზრუნველყოფის ამოცანები», «საერთაშორისო რევოლუცია და მუშა ქალი», «კომუნისტური პარტია და მუშა ქალი» და სხვა...

ყრილობამ გადაწყვეტით უარყო აზრი ქალთა ცალკე დამოუკიდებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ. «მუშა ქალის ინტერესები მთელი მუშათა კლასის ინტერესებია»,—განაცხადეს ყრილობის დელეგატებმა, მაგრამ რაკი ქალი ჯერჯერობით პროლეტარიატის ნაკლებად შეგნებულ ნაწილს წარმოადგენდა, გადაწყვიტეს მათ შორის გაეჩაღებინათ აგიტაცია-პროპაგანდა. ამიტომაც მიმართა ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით ჩამოყალიბებულიყო კომისია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იქნებოდა ტექნიკური აპარატი ქალთა მასებში პარტიის დადგენილებათა გასატარებლად.

ყრილობამ აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია ყველა პარტიულ კომიტეტთან ჩამოყალიბებულიყო პარტიული აქტივისაგან შემდგარი ჯგუფები პროპაგანდისტული მუშაობის გასაძლიერებლად. ყრილობას მიმდინარე მომენტის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა მუშა ქალებისა და უღარიბესი გლეხი ქალების ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიღება.

*) დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რუსეთის ქალთა შემდგომ ცხოვრებასა და საქმიანობაში უდიდესი როლი შეასრულა ამ ყრილობამ. მან ჩაუყარა საფუძველი ქალთა შორის პარტიის პოლიტ-აღმზრდელობით და ორგანიზაციულ მუშაობას.

ყრილობის თვითეული დელეგატის ოცნება იყო ენახა ვ. ი. ლენინი, მოესმინა მისი სიტყვა. სხდომების დასაწყისიდანვე ისინი მიმართავდნენ პრეზიდიუმს თხოვნით მოეწვიათ ლენინი.

მოუთმენლად ველოდით ამ ბედნიერ წუთებს, თუმცაღა ისიც ვიცოდით რარიგ სუსტად გრძნობდა თავს ვლადიმერ ილიას-ძე დაჭრის შემდეგ... მაგრამ იმედი მისი ნახვისა მაინც არ გვტოვებდა.

და აი ეს ბედნიერი წუთიც დადგა... ყველაფერი ჩვეულებრივად, მაგრამ ამავე დროს არაჩვეულებრივად მოხდა.

ჩუმად, შეუმჩნევლად შემოსული ვ. ი. ლენინი მოულოდნელად გამოჩნდა პრეზიდიუმში.

დარბაზი ტაშის გრგვინვამ წალეკა. წამოხტნენ აღელვებული დელეგატები, ბევრიც ტრიბუნისაკენ გაქანდა... შეძახილები, მისალმებანი არ წყდებოდა დიდხანს.

მდუმარედ იდგა ვლადიმერ ილიას-ძე. მერმე ხელი აღმართა, სიწყნარისაკენ მოუწოდა დარბაზს...

ჩამოწვა სიჩუმე. ყველანი ადგილებზე გაიყინენ. ლაპარაკობდა მშრომელი კაცობრიობის საყვარელი ბელადი.

— მსოფლიოს ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებიდან ცნობილია, რომ რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მონაწილეობას მიიღებენ მასში ქალები,—ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე.

არ შეიძლება სოციალისტური გადატრიალება მშრომელი ქალების მნიშვნელოვანი მონაწილეობის გარეშე,—აცხადებდა ლენინი.

საბჭოთა რესპუბლიკამ, პირველმა მთელ მსოფლიოში, მოსპო ქალთა უფლებების ყოველგვარი შეზღუდვა, რადგან ქალის ხსნა მონური მდგომარეობიდან ძალუძს მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმს!—თითქოს ახლაც ჩამესმის ლენინის ეს სიტყვები, რომელმაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, აღგვანთო, დაბადა არაჩვეულებრივი ენთუზიაზმი, ძალა. ახლა ჩვენ ყოველგვარი სიძნელის გადალახვა შეგვეძლო. ლენინის ძლიერი ხელებიდან მივიღეთ მანდატი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

დიდხანს, დიდხან ესალმებოდნენ დელეგატები თავის მასწავლებელს.

დარბაზი «ინტერნაციონალს» მღეროდა. სამი გლეხი ქალი მიუახლოვდა ვლადიმერ ილიას-ძეს, ლენინმა მხურვალედ ჩამოართვა მათ ხელი.

— ეს მან, ამხანაგმა ლენინმა, ხელი ჩამოართვა მთელ უღარიბეს გლეხობას,—განაცხადა ერთ-ერთმა მათგანმა.

— მთელი ჩვენი სიცოცხლე ეკუთვნის ამხანაგ ლენინს, რევოლუციას, ჩვენს ქვეყანას,—აღელვებით დაუმატა მეორემ.

მეორე დღეს ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, პარტიას, მთავრობას.

იგი ჰქუხდა როგორც ფიცი.

ვფიცავთ ჩვენს ოქტომბრის რევოლუციას, შევძლებთ გავამართლოთ ჩვენი ხელისუფლების, მშრომელი ხალხის ხელისუფლების იმედები, ხელს მოვკიდებთ ახალი კომუნისტური ცხოვრების შენებას. წავალთ და ჩვენს დებს, მსოფლიოს პროლეტარ ქალებს ხმამაღლა ვეტყვით:

— გაუმარჯოს სოციალიზმს!

— გაუმარჯოს სოციალიზმისათვის მებრძოლ კომუნისტურ პარტიას!

.., და აი, წლების მანძილზე კომუნისტურმა პარტიამ მტკიცე, თანმიმდევრული ღონისძიებებით აიყვანა ქალი იმ სიმაღლეზე, რომლიდანაც ახლა იგი ამაყად უმზერს სამყაროს.

დღეს იგი, სახელგანთქმული საბჭოთა ქალი, სრულიად რუსეთის ქალთა ყრილობის ორმოც წლისთავს აღნიშნავს პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების დღეებში, და როგორც სხვა დიდ საქმეებში, ასევე, მომავალი ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში შეიტანს თავის წვლილს.

**ალექსანდრა არტიუხინა,**

**სკკპ წევრი 1910 წლიდან, სრულიად რუსეთის მუშა ქალთა პირველი ყრილობის დელეგატი.**

**ქ. მოსკოვი.**

ვ. გოგოლაშვილი

## ყველას ახსოვს

ბალატონფელდვარში საძმო საფლავზე დაკრძალულია სამამულო ომის მონაწილე სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ნატო ცინცაძე.

ბალატონზე არვინ იცის
საით არის გურია...
არვინ იცის საით არის
საჯევახოს სერები,
ალვები რომ მიჰყვებიან
შუკებს ფეხშიშველები,
რომ ირხევა წაბლნარების
ტევრი ჩამობურული,
რომ ჩხრიალებს ბერძნისწყარო,
ბერძნის არა—
გურულის.
წყაროს პირას, თხმელის ჩრდილში
საუბარი ჩაღდება,
საღამო ხანს ყაბალახით
მამა გამობრძანდება,
ამას იტყვის, იმას იტყვის,
სიტყვა მოსდევს ბარაქა,
შენს გმირობას პაწაწინებს
მოუყვება არაკად.
ცრემლს მოიწმენდს თვალზე ჩუმად,
გულდამწვარი მშობელი...
დედას კი რა დააჯერებს,
ჭასთან ზის და მოგელის.
სულ ჭიშკრისკენ იცქირება,
შენი ნახვა სწყურია...
ბალატონზე არვინ იცის
საით არის გურია,
საით არის შენი მხარე
ვარდით შემობურული...
მაგრამ დღემდე ყველას ახსოვს
სახე ერთი გურულის.
ათას რამეს გიამბობენ,
სიტყვა მოსდევთ ბარაქა,
შენი გული, შენი საქმე
დარჩენილა არაკად.
შენს საფლავთან ალვის ხენი
დგანან ფეხშიშველები,
დაირხნენ და მომაგონეს
საჭამიას სერები.
შენს საფლავთან წყაროს წვეთი
წვეთავს ნაპერწკლიანი,
წუთით თითქოს გამახსენდა
ბერძნის წყაროს წკრიალი.
საჯევახოს ნისლეულს გავს,
როცა ტბაზე ბურია...
დაგხედე და ბალატონზეც
გავიხსენე გურია.

1958 წ. ივლისი.

ბალატონფელდვარი.



# ვარდი, მოწყენილი, ფიქრები...

«...წიგნი წავიკითხე. ძალიან მომეწონა... თქვენ კარგად ფლობთ ენას და თარგმანებში არაჩვეულებრივად გადმოსცემთ ქართული პოეზიის არომატს...

ს. მარშაკი

«...ჵმადლობთ ასეთი გულუხვი საჩუქრისათვის... თქვენს მიერ ინგლისურად თარგმნილი ლექსების ხმოვანებამ მომაჯადოვა.»

კ. ჩუკოვსკი.

მაგიდაზეა აგრეთვე წერილები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. იწერებიან უცნობი ადამიანები, გაოცებულნი და აღტაცებულნი ქართული მადლიანი პოეზიით, საუკუნეთა ქარცეცხლში რომ გაიარა და ვენერა ურუშაძის შესანიშნავ თარგმანებში შეინარჩუნა თავისი სიცხოველე, ორიგინალობა და მიმზიდველობა.

* * *

...1911 წელი. ნიუ-იორკი. აქ იმყოფება ოჯახის საარსებო პირობების საძებნელად საქართველოდან გადმოხვეწილი გიორგი ბარამიძე.

...სამუშაოს ძებნაში გატკეპნილი ერთფეროვანი, ნაცრისფერი ცათამბჯენების ქალაქი. მერე შემთხვევით ნაშოვნი ადგილი საუთოოში. სულშემხუთავი ორთქლი და თეთრეულის სპეციფიური სუნი. დღეში მამაკაცის ასი პერანგის გაუთოება და ასი ყურმოკრული ინგლისური სიტყვის დამახსოვრება. სახლში ახალგაზრდა ცოლი და პატარა ვენერა...

შემდეგ დანაზოგი ფულით საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრება...

ზღვებისა და მთების იქით გადახიზნული ქართული ოჯახი. უცხო ქვეყანა. უცხო ადამიანები. უცხო ატმოსფერო.

გადის ოთხი წელი. კანონის თანახმად შეიძლება აშშ-ის მოქალაქედ გახდომა, მაგრამ არა! გიორგი ბარამიძეს გული მოუწევს სამშობლოსაკენ, საქართველოსაკენ, თავისიანებისაკენ; გაფაციცებით ადევნებს თვალს რუსეთის ამბებს და ელის, მოთმინებით ელის რაღაცას.

...1923 წელი. ნიუ-იორკის დილისა და საღამოს გაზეთები აჭრელებულია სენსაციური ამბით: უარდლი ჰაისკულის მოსწავლემ, ცამეტი წლის ვენერა ბარამიძემ აშშ-ში ყველას აჯობა გამოცდაზე საზაფხულო სამხედრო ბანაკების ცხოვრებაზე დაწერილი მოთხრობით.

შესანიშნავი, წერის ორიგინალური მანერა... შეუდარებელი სტილი... — სწერდნენ გაზეთები.

...და პატარა ვენერა კვირაში ორჯერ დადის გამოჩენილ ინგლისელ მწერლებთან, აჩვენებს თავის ნაწერებს, იღებს კონსულტაციებს. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება ფსიქოლოგიური მოთხრობები, ნოველები, ლექსები. მათ ხელს აწერს ცამეტი წლის ვენერა ბარამიძე, რომელიც უკვე უმაღლეს განათლებას იღებს ბარნებ კოლეჯში და პარალელურად სწავლობს დამროშის მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარალელურად სწავლობს დამროშის მუსიკალური ხელოვნების ინსტიტუტში.

გაოცებას იწვევს ქართველი გოგონას მუყაითობა, მრავალმხრივი განათლება და უცნაური, ყოველთვის დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობა.

...1927 წელი. საბჭოთა ხალხი ზეიმობს ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავს. გიორგი ზარამიძე თავისი ოჯახით უბრუნდება სამშობლოს, თბილისს...

ვენერამ არ იცის არც ერთი ქართული სიტყვა. თვრამეტი წლის ასაკში იწყებს მშობლიური ენის შესწავლას. სწავლობს მონდომებით, ჯიუტად. ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის ინგლისურს, ხოლო მისივე სტუდენტები ასწავლიან მას ქართულს...

სურვილი დიდია, ენერგია ახალგაზრდული, თითქოსდა გამოულეველი. ყველაფერს დასძლევ, ყველაფერს მიაღწევ მაშინ. ვენერა უკვე საკმაოდ კარგად ფლობს ქართულს, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს ქალიშვილს. უნდა უფრო ღრმად ჩასწვდეს შოთას და ილიას ენას, უნდა ისევე იგრძნოს, შეითვისოს, შეისისხლხორცოს, ისეთივე მახლობელი და თავისი გაიხადოს ბარათაშვილი და ორბელიანი, ილია და აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი, როგორც გრძნობს მათ, როგორც ისინი უყვარს, როგორც მათი ესმის ქართველს.

უფრო დიდი მიზანიც აქვს. უფრო დიდის გაკეთებაც სურს. მხოლოდ ვერ უტყდება ჯერ თავს, ვერ გაუბედავს ხმამაღლა სთქვას თავისი ფიქრი.

ამიტომ შედის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამიტომ მონაწილეობს აქტიურად უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში.

მერე ბედავს, ამხანაგებიც ბიძგს აძლევენ, და...

* * *

როგორც ყოველთვის, ქურდულად, ფრთხილი ნაბიჯებით მოიპარება ღამე. ახალგაზრდა მთარგმნელს არ აძინებს, არ ასვენებს, აწვალებს ქართველ პოეტთა რითმების ჯარი, ფერების ზუსტი განაწილება, პეიზაჟის ხატვის უნარი, აზრის სიცხოველე და სიდიადე, ქართული ლექსის ძალა და აღარ ახსოვს როდის და როგორ იღვრება ქაღალდზე ბესიკისა და ტატოს, ილიასა და აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის სტრიქონები, მაგრამ უკვე თითქოს საკუთარი, მისი...

«ტანო-ტატანო, გულწამტა ...»
«გასწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს
სამძღვარი»...

ინგლისის გაზეთებმა დაბეჭდეს «მერანი". აღფრთოვანებული წერილები თეთრი მტრედებივით მოფარფატდნენ შორეული ქვეყნებიდან და გულწრფელი მადლობა უთხრეს ქართველ ხალხს, ვენერას...

...«გამაოცა თქვენმა ბარათაშვილმა, თქვენი თარგმანების სიმშვენიერემ და მუსიკალობამ. ეს არის თქვენი ფართო, ბრწყინვალე და უცილობელი წარმატება...» — იწერებოდნენ რუსეთიდან.

«ნუთუ, ასევე ლამაზად ჟღერს ეს ლექსი ქართულად?»—ეკითხებოდნენ ინგლისელები 1949 წელს, როდესაც პირველად გამოვიდა ინგლისურ ენაზე ქართული პოეზიის ანთოლოგია.

წელს კი, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ზეიმზე მოსკოვში, მწერალთა კავშირის წევრს, ვენერა ურუშაძეს რადიოთი უსმენდნენ მილიონები. ქართულ ლექსებს კითხულობდა ვენერა ინგლისურ ენაზე და აჯადოებდა ადამიანებს. ეს იყო სპეციალური გადაცემები უცხოელთათვის.

ახლა ჩვენ მივიღეთ ვენერა ურუშაძის ახალი საჩუქარი—ქართული პოეზიის შევსებული ანთოლოგია ინგლისურ ენაზე. მილიონები გაიცნობენ ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, ლადო ასათიანს, ანა კალანდაძეს... ეს იქნება ჩვენი, ვინ მოსთვლის მერამდენე გამარჯვება!

მილიონობით ადამიანი გაიხარებს, იტირებს, ამაღლდება, როგორც ჩვენ ვტიროდით, როგორც ჩვენ გვიხაროდა, როგორც ჩვენ ვმაღლდებოდით, შოთას და გურამიშვილს, ბარათაშვილსა და ორბელიანს, ილიას, ვაჟას, შექსპირს, ბაირონს, გოეთესა და პუშკინს რომ ვკითხულობდით. ჩვენც და ისინიც, ვინც პირველად გაეცნობა ქართულ პოეზიას, მთელი გულწრფელობით გავიმეორებთ კორნეი ჩუკოვსკის სიტყვებს: «გმადლობთ ასეთი გულუხვი საჩუქრისათვის, ძვირფასო ვენერა!..»

* * *

აუდიტორიაში შემოდის უბრალოდ, ღიმილით გადახედავს სტუდენტებს და ცისფერი თვალები ჩაუმუქდება, დაუთბება თითქოს. სიას არ კითხულობს,—არავინ აცდენს უმიზეზოდ. ამ ჯგუფსაც კარგად იცნობს, თვითეულის მისწრაფება და შესაძლებლობა იცის.

— აი, ის პატარა გოგონა ლექსებს სწერს, იცით? ოდნავ ფილოსოფოსობს, მაგრამ არა უშავს. მეც ვწერდი ასეთ ლექსებს.. მახსოვს, ერთი მათგანი—«სიცოცხლე»,—ცხოვრების ფილოსოფიაზე ვმსჯელობდი, არაფერი კი არ მესმოდა ცხოვრებისა...—და ვენერას ღიმილი უკრთის ჭკვიან თვალებში.

სტუდენტებს თვალები დაუხრიათ და სწერენ. უცნაური, მაგრამ საინტერესო თემა შეურჩია დღეს მათ მასწავლებელმა.

...«გარეთ წვიმს, წვიმს კოკისპირულად. მატარებელი მიჰქრის. კუპეში სულ მარტო ხართ და არა გაქვთ არავითარი გასართობი. არც გაზეთი, არც ჟურნალი. წარმოიდგინეთ, რას იზამდით, რითი გაერთობოდით, რაზე იფიქრებდით?»

— ასეთი ვარჯიში შესანიშნავად ავითარებს აზროვნებას,—ამბობს დოცენტი ვენერა ურუშაძე.

მაოცებს მისი ფანტაზია, ადამიანის სულის, ფსიქოლოგიის შესანიშნავი ცოდნა.

— რატომ აღარ სწერთ მოთხრობებს? — ვეკითხები.

ეცინება.

— უმჯობესია ვთარგმნო კარგი მოთხრობები... ქართული პროზის ანთოლოგიაზე უკვე დავიწყე მუშაობა. ვთარგმნი «ვეფხისტყაოსანსაც» – უბრალოდ მეუბნება იგი.

მიხარია, მეამაყება კიდეც,—«ოთარაანთ ქვრივს» წაიკითხავენ ინგლისურად!

* * *

სახელურს ძლივს შესწვდა, მოსწია და ფრთხილად შეაღო კარი ეშმაკთვალება ბიჭუნამ.

— ბები, ბები, რა ჰქვია იმ ასოს ინგლისურად «რაგატკას» რომ ჰგავს?

ქალი შეინძრა მაგიდასთან, კალამი გადასდო, გაუღიმა შვილიშვილს.

— უაი ჰქვია, ირაკლი. აბა, გაიმეორე, უ-ა-ი...

ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოდის, მკაცრად ჰკიდებს ხელს ბიჭუნას და გაჰყავს.

— ხელს რატომ უშლი!—ეუბნება დედა.

ვენერამ მიაყურა ბავშვის ნაბიჯების ხმას. მერე ისევ დასწვდა კალამს:

«იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა «წაბლიანს» დავარქმევ, ყველამ იცოდა ვინ არის ოთარაანთ ქვრივი...»— იწერება ინგლისურად.

ლია გოგიშვილი.





ვერა ბარდაველიძე

ფოტო გ. ვახტანგაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აცოცხლებს ქართველ ტომებს

იმ დღეს დიდი გამოცოცხლება იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს იცავდა ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე. ბევრი რამ ითქვა მეცნიერზე: ის, რომ საქართველოს უძველესი ხანის ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოუწევია მას წინ, ის, რომ მისი ფუნდამენტალური შრომა «ქართველ ტომთა უძველესი სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება» ახალი სიტყვაა მეცნიერებაში.

მრავალი მოლოცვის დეპეშა მიიღო იმ ხანებში ვერა ბარდაველიძემ. იწერებოდნენ სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, დაღესტნიდან, მოსკოვიდან. ჩეხი ეთნოგრაფი ოთაქარ ნაჰოლიდა წერდა: «ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ვესწრები თქვენი წიგნის დაცვას, წარმატებაში ეჭვი არ მეპარება».

და მართლაც წარმატება დიდი იყო.

ამ წარმატების სათავე კი უფრო ადრეულ წლებში უნდა ვეძიოთ.

...ახლადგახსნილ ქართულ უნივერსიტეტს სწავლამოწყურებული ახალგაზრდობა მიეძალა. უნივერსიტეტის სწავლული მდივნის კაბინეტში გიმნაზიელი გოგონა შევიდა.

...შემდეგ კი ეს გოგონა უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი გახდა, «სტუდენტი ქალი გვიზის კლასშიო»— ხუმრობდნენ კიდეც ვერა ბარდაველიძის გიმნაზიელი ამხანაგები.

გავიდა წლები... ვერა, უკვე სტუდენტი, გულმოდგინეთ ისმენდა ლექციებს, მუშაობდა მუყაითად, ხოლო არდადეგებზე გადიოდა სოფლად, ხალხში და სწავლობდა მათ ადათ-ჩვეულებებს, მათ სულიერ კულტურას; ასე ეყრებოდა საფუძველი მომავალ დიდ სამუშაოებს. ხევსურეთი და მთიულეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი —არ დარჩენილა კუთხე საქართველოში, ფეხით რომ არ ჰქონდეს მოვლილი ვერა ბარდაველიძეს.

არაერთი და ორი მეცნიერი გამოუზრდია ამ თმაშევერცხლილ ლენინის ორდენოსან ეთნოგრაფს და კიდევ ბევრს გაზრდის. ჯერ რამდენია გასაკეთებელი, საქართველოს უძველესი კულტურის ისტორიას ახალ-ახალი ფურცლები უნდა შეემატოს.

**გ. გასიტაშვილი.**



ემილიე ჩეხანეკი ოჯახში.

რეპორტაჟი

# მათი

ოქტომბრის ქუჩა, სახლი № 365, ერთერთი კეთილმოწყობილი შენობა მუშათა კვარტალში, მობინადრეთა გვარებს შორის თვალში გეცემათ უცხოური გვარი—ჩესანეკი. მოდით, ვეწვიოთ მას, ჩვენს «უცხოელ» თანაქალაქელს, მისი ცხოვრების შესახებ მოვისმინოთ.

სუფთად, გემოვნებით გაწყობილ ოთახებში ფუსფუსებს კეთილი სახის მოხუცი ქალი. ეს ჩეხი ემილიე ჩესანეკია, ჩვენი ქალაქის მკვიდრი. ამ ქალის ახალგაზრდობის საუკეთესო წლებმა ჩაიქროლეს მშობლიურ სტრაკონიცაში, ჩეხოსლოვაკიის ერთერთ ულამაზეს ქალაქში.

მდინარეებით, ტყეებითა და ხეივნებით განთქმული მშობლიური ბუნების წარმტაცი პეიზაჟის ფონზე ემილიეს მეხსიერებაში ულიმლამო წარსულის ყველაზე დამახასიათებელი სურათები ცოცხლდება. აი ის, სრულიად ახალგაზრდა, თავის ტოლებთან ერთად მდინარე ოტავას ნაპირებზეა, ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებობს, მშვიდობიან შრომაზე ფიქრობს ან კიდევ მდინარე ვოლინკას მჩქეფარე ტალღებს ნაღვლიანად ადევნებს თვალს და შეშფოთებით ფიქრობს მომავალზე. მოგონებაში ცოცხლდება პირველი მსოფლიო ომის აჩრდილი, ამ ომს შეეწირა ჩეხი ხალხის საუკეთესო შვილები.

მათ შორის, ვინც აქტიურად გამოდიოდა თავისი ხალხის ინტერესების დასაცავად, იყო ემელიეს მამაც. და თუმცა ჟანდარმერიის მიერ ბინაზე ორგზის მოწყობილმა ჩხრეკამ, გულმოდგინედ დაცული კონსპირაციის შედეგად ვერაფერი აღმოაჩინა, ამ კეთილმა და სამართლიანმა მოხუცმა მთელი ცხოვრება აშკარა თუ ფარული მეთვალყურეობის ქვეშ გაატარა.

1919 წელს ემილიე ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა ჩეხ მუშას ფრანტიშეკ ჩესანეკს. ქალაქ სლანში, კლადნოს ახლოს, ახალგაზრდა ცოლქმარი აწყობს მყუდრო ოჯახს, ისინი, იულიუს ფუჩიკის თქმისა არ იყოს, მდიდარნი იყვნენ ღარიბთა სიმდიდრით—თავიანთი დიდი სიყვარულით.

ჩეხოსლოვაკიაში ბურჟუაზიული მთავრობის ბატონობის წლებმა ხალხის ინტერესებისადმი ღალატის შავბნელი ფურცლები ჩაწერა ჩეხი ხალხის ისტორიაში. კომუნისტურად განწყობილი მუშების დევნა ჩვეულებრივ რამედ იქცა, დევნა-შევიწროებისათვის თავის დაღწევის მიზნით 1923 წელს ფრანტიშეკ ჩესანეკი ჩამოდის საბჭოთა კავშირში, სახლდება თბილისში და მას შემდეგ იგი ჩვენი ქალაქის მკვიდრია. 4 წლის შემდეგ საქართველოში ჩამოდის ემილიეც. 1930 წელს ფრანტიშეკს გზავნიან მოსკოვში ბაუმანის სახელობის ინსტიტუტში. სასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლის დამთავრებიდან დღემდე ფრანტიშეკი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენელ ქარხანაში მუშაობს ინჟინრად.

გულისხმიერი, თავმდაბალი, გამგები, საკუთარი საქმის საუცხოო მცოდნე ფრანტიშეკი პატივისცემით სარგებლობს ყველგან, სადაც კი გამოჩნდება.

ემილიეს და ფრანტიშეკის ერთადერთი ქალიშვილი სოფია თბილისში აღიზარდა, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება და ამჟამად იგიც კიროვის სახელობის ქარხანაში მუშაობს ინჟინრად.

შარშან ჩესანეკების ოჯახი 34 წლის განშორების შემდეგ ეწვია თავის სამშობლოს და სამი თვე დაჰყო იქ. ცვლილებებმა ჩეხოსლოვაკი ხალხის ცხოვრებაში სიამით აავსო მათი გულები.

ორი სამშობლო აქვთ ჩესანეკებს, ორი მშობლიური ქალაქი. სიყვარულის ერთნაირი ძალით ეტრფიან ჩეხოსლოვაკიასაც და საქართველოსაც. სტრაკონეცსაც და თბილისსაც.

* * *

ტრიკოტაჟის კომბინატში ყველა იცნობს სატრიკოტაჟო განყოფილების კონტროლიორს ტერეზა საგარსასუს.

ადვილი არ იყო ტერეზასათვის დაეძლია სამშობლოსთან განშორების პირველი სევდა. მაგრამ აქ, თბილისში, ადამიანთა უდიდესი გულისხმიერებით გარემოცულმა ესპანელმა ქალიშვილმა თავისი ადგილი იპოვა საზოგადოებაში და მის აქტიურ მშენებელთა რიგებში ჩადგა.

# მეორე სამშობლო

* * *

ეკატერინე ნიკოლოზის ასული სამასა გერმანიაში, ქალაქ ეკატერინშტადტში დაიბადა. სწავლობდა მიუნხენში, შემდეგ ბერლინის კომერციულ სასწავლებელში. გათხოვების შემდეგ, 1929 წლიდან თბილისში ცხოვრობს და ახლა ვერ წარმოუდგენია უმისობა.

ეკატერინეს მოვლილი აქვს საქართველოს სოფლები და ქალაქები, კარგად იცნობს ჩვენი ერის მატერიალური კულტურის ძეგლებს, ორიგინალში კითხულობს ზოგიერთ და რუსულ თარგმანში თითქმის ყველა ქართველ მწერალს, შესანიშნავად საუბრობს ქართულად, უყვარს ქართული კერძები და მისი დამზადების დიდი სპეციალისტია. ერთი სიტყვით, ეკატერინე სამასა ჩვენი ქალაქის «უცხოელ» მცხოვრებთაგან ყველაზე მეტად ქართველობს. და ეს გასაგებიც არის: ქართული ოჯახის დიასახლისია.



ეკატერინე სამასა სამზარეულოში. ფოტო დ. იაკობაშვილის.



ტერეზა საგარსასუ.

ის გატაცებით საუბრობს თბილისის ზრდის პერსპექტივებზე, ქართველი ხალხის უდიდეს სტუმართმოყვარეობაზე, რაც მისი აზრით, ყველაზე ძალიან სწორედ აქ ვლინდება, თბილისში. და ყველაფერში—ქალაქის ზრდის ტემპებში, ერის სულიერ სილამაზეში, დაუცხრომელ წინსვლაში ეკატერინე სამასა უდიდეს სიამოვნებას პოულობს, რადგან სიამაყის გრძნობა თავისი მეორე სამშობლოსადმი მისი კანონიერი გრძნობა გახდა.

* * *

ის ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა საფრანგეთიდან და ახლა ჩვენი ქალაქის მცხოვრებია.

მადლენ ვერდო ქალაქ შომბერიდან არის (სავოიას დეპარტამენტი). ამ ახალგაზრდა ქალის ბიოგრაფია მდიდარია მეტად საყურადღებო დეტალებით. იგი მშვიდობის დაცვის ორგანიზაციაში მოღვაწეობდა პარიზში, იყო ჟურნალ «აქსიომას» მდივანი (თავის დროზე ჟურნალს ხელმძღვანელობდა ივ. ფარჟი). შემდეგ—პიერ კოტის პირადი მდივანი. მონაწილეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშორისო ფესტივალში მოსკოვში, როგორც საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენელი.

მადლენ ვერდო თბილისში ცხოვრობს და უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ხელმძღვანელობს ფრანგული ენის პრაქტიკულ კურსს, კმაყოფილია, რომ მის შვილებს—ნუცა და ლუკა წულაძეებს მშობლიურ გარემოში აღზრდის საშუალება მიეცათ.

— თბილისმა უდიდესი სტუმართმოყვარეობით, პრივილეგიებითაც კი მიგვიღო,—ამბობს მადლენი,—ამ უძველეს, მაგრამ ჭაბუკურ ქალაქში არასდროს არ შეიძლება თავი მოწყენილად ან განმარტოებულად იგრძნო. იგი გითრევს ცოცხალ, შემოქმედებითს შრომაში, უდიდესი ენთუზიაზმით გმსჭვალავს.

**ნანული ქოჩიშვილი.**

# ვინც მუდამ თქვენთანაა

ტკბილია ბავშვობის მოგონება, უზრუნველი, უმანკო წლების გახსენება, გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით რომ აკვირდებოდი, ხარბად რომ ეტანებოდი ყოველივე ახალს, შენთვის მანამდე უცნობს...

ამ დროს იბადება ცოდნის წყურვილი, შემდეგ თანდათან რომ ძლიერდება.

გადის წლები... გონებაც მწიფდება, და რა დიდი სიხარული გეუფლება, როცა დამოუკიდებლად იწყებ ცხოვრების დიდ გზაზე სვლას.

მაშინ არ შეიძლება არ მოგაგონდეს ის ადამიანი, ვინც გონებას გიხსნიდა და დამოუკიდებელი აზროვნებისათვის გამზადებდა, ვინც შენში აღვივებდა ცოდნის ნაპერწკალს.,.

ბევრი რამ იფარება დავიწყების ფერფლით, მაგრამ ის დღე დაუვიწყარია, პირველად რომ გაგვაცილეს სკოლაში და გულითადი რჩევა-დარიგებაც მოგვცეს. არა, მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება მასწავლებლის პირველი სიტყვები: «ბავშვებო, ჩემო პატარებო...»

... ანცობ, მერხზე ვერ ისვენებ, ატყობ, აი იმ დეიდას, მაგიდასთან რომ ზის, რატომღაც არ მოსწონს ეს.

გადის დღეები... ეჩვევი თანატოლებს, სკოლას და თანდათანობით ისე შეგიყვარდება იქაურობა, რომ შინაურები აღარც გაგონდება.

აი, თურმე რა კარგი ყოფილა ის დეიდა, ეს ხომ მან, პირველმა, შეგვაყვარა სკოლა.

აი ერთი იმათგანიც:

ოცდაათ წელზე მეტია ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული პედაგოგი ნინო ალადაშვილი. ამ ხნის მანძილზე ბევრი, ძალიან ბევრი მართვე აუფრენია მას...

... ჯერ კიდევ ადრეა, გაკვეთილების დაწყებამდე ერთი საათია, ნინო კი უკვე საკლასო ოთახშია, და განა მარტო დღეს მოვიდა იგი ასე ადრე? არა, ასეა მუდამ. ახლაც თვალი შეავლო მერხებს, კარადის კარი გამოაღო, ყველა მერხზე ჩამოარიგა სამელნეები, მოსწავლეთა რვეულები ამოალაგა. სათუთად ფურცლავს და ათვალიერებს მათ.

რიგრიგობით, მკვირცხლად შემოდიან გოგონები და ბიჭუნები, ესალმებიან მასწავლებელს. ნინოს სათნო და შთაგონებულ სახეს ღიმილი დასთამაშებს. ყოველი მათგანის დანახვისას ენით გამოუთქმელ სიხარულს გრძნობს.

პატარები მერხებთან მიდიან, ჩანთებს ინახავენ, მერე მასწავლებლის მაგიდას შემოეხვევიან. მასწავლებელიც მიუალერსებს, დაუყვავებს, შენიშვნებს აძლევს: «ზაზა, როგორ გაწითლებულხარ, გეტყობა, ბევრი ირბინე, ნანა, საყელო გაისწორე! თამაზ, საშრობი ასე რად ლაგიკუწავს, განა ეს გეკადრება? შენ ხომ პატარა აღარა ხარ!»

ბავშვები გაფაციცებით შესცქერიან ნინოს, ყურადღებით ისმენენ მის ყოველ სიტყვას.

და განა ოდესმე დაავიწყდებათ ნინოს გაკვეთილები? ის დღეები, პირველად გაუბედავად რომ დაწერეს «ა» და «ი»? რაოდენ დიდ ენერგიას ხარჯავს ეს ადამიანი, რომ თვითეულ მათგანს შეეძლოს ლამაზად მოხაზოს ყოველი ასო, გარკვეულად და სწორად წარმოთქვას ყოველი სიტყვა.

ნინომ კარგად იცის: თუ თავიდანვე გულისყურით არ მიუდექი პატარების მეტყველებისა და წერითი კულტურის ჩამოყალიბებას, მერე ძნელია ნაკლის გამოსწორება.

... შესვენებაა. დერეფნის ბოლოში, ერთ-ერთი საკლასო ოთახის წინ, როგორც ყოველთვის, ახლაც თავი მოუყრიათ პატარებს. ბავშვების შუაგულში დგას თმებდათოვლილი, ხანშიშესული, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ქალი. ეს ნინო მასწავლებელია თავის მეორეკლასელებთან ერთად. შესვენებაზეც კი მუდამ მათთანაა ამაგდარი პედაგოგი: გონივრულად ართობს, ასვენებს ნორჩებს...

— ყოველმხრივ ვცდილობ ცოდნის წყურვილი გავუღვიძო ბავშვებს. ყველაზე დიდ სიხარულს მაშინ განვიცდი, როცა ვხედავ, მიზანს მივაღწიე, — იტყვის ხოლმე ნინო.

ოცი წელია, რაც ნინო ალადაშვილი სტალინის სახელობის თბილისის პირველ საშუალო სკოლაში მუშაობს. ყველას უყვარს ღვაწლმოსილი პედაგოგი, გულისხმიერი ამხანაგი და მეგობარი.

არც მის აღმზრდელებს ავიწყდებათ ნინო. შარშან პირველი საშუალო სკოლის მე-9 კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მოსწავლეებს დავალება მისცა—დაეწერათ საკონტროლო თემა მათი ცხოვრების ყველაზე ღირსსახსოვარ მოვლენაზე. 30 მოსწავლიდან 18-მა თავისი მოწაფეობის პირველი გაზაფხული გაიხსენა, განსაკუთრებით მღელვარებით იგონებდნენ იმ დღეს, ანბანის უკანასკნელი ასო რომ შეისწავლეს, ნინო მასწავლებელს, მის კეთილშობილებას, დედაშვილურ დამოკიდებულებას...

— ასე მგონია, — ამბობს ნინო, — ერთ დღესაც ვერ გავძლებ უბავშვებოდ. ჩემს სიცოცხლეს ისინი ამკობენ და ამშვენებენ. მივეჩვიე და გულით შევიყვარე პაწიების ლამაზი სამყარო. მე მათი ცხოვრებით ვცხოვრობ და ვიდრე ძალა შემწევს და ჩემს მარჯვენას შეეძლება ასოების გამოყვანა, პატარებს უნდა ვემსახურო.

უთუოდ კიდევ დიდხანს, დიდხანს ემსახურება ღვაწლმოსილი პედაგოგი პატარების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

**კ. გოგხაძე.**

კვირადღეს. ფოტო დ. იაკობაშვილის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სიცოცხლის სიყვარული



ჯეკ ლონდონი

ილუსტრაციები დ. ერისთავის და თ. მირზაშვილის.

მოთხრობა

ჯეკ ლონდონის მოთხრობა „სიცოცხლის სიყვარული“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც განსაკუთრებით მოსწონდა ვ. ი. ლენინს.

„ორი დღით ადრე მის სიკვდილამდე,—წერს ნ. კ. კრუპსკაია თავის მოგონებაში,—საღამოჟამს ვუკითხავდი ჯეკ ლონდონის მოთხრობას—„სიცოცხლის სიყვარულს“—იგი ახლაც ძევს მაგიდაზე მის ოთახში. მეტად ძლიერი ნაწარმოებია... ილიჩს ეს მოთხრობა დიდად მოეწონა“.

თუ რატომ მოეწონა ილიჩს მოთხრობა, რომელშიც უდიდესი დრამატული სიმძაფრით არის ნაჩვენები ადამიანის ბრძოლა სიცოცხლისათვის, ამას ყველაზე უკეთ ვიგრძნობთ თვით მოთხრობაში.

ისინი კოჭლობით ჩადიოდნენ დაბლა, მდინარის ნაპირისაკენ. ერთხელ იმან, ვინც წინ მიდიოდა, რიყეზე ფეხი წამოკრა წვეტიან ქვას და წაბარბაცდა. ორთავე დაღლილი და არაქათგამოცლილი იყო, სახეზე ხანგრძლივი გაჭირვებისა და ჭირთათმენის კვალი აღბეჭდოდათ. მხრებზე შალის საბნის მძიმე ფუთა ეკიდათ, თასმებით შეკრული, თასმა თავზეც მოედოთ, რომ ფუთა კარგად ჰქონოდათ დამაგრებული ზურგზე.

თვითეულს თან მიჰქონდა თოფი, ორთავე წელში მოხრილი მიდიოდა, თავები დაბლა ჩაექინდრათ და მიწას თვალს არ აშორებდნენ.

«რა კარგი იქნებოდა, ორი ვაზნა მაინც გვქონოდა იმ ვაზნებიდან, რომლებიც სამალავში გვაქვს დატოვებული», თქვა უკან მიმავალმა. მისი უსიცოცხლო ხმა არაფერს არ გამოხატავდა. ის გულგრილად ლაპარაკობდა. წინ მიმავალმა, რომელმაც ის-ის იყო ფეხი შედგა რძისფრად აქაფებულ მდინარეში, ხმაც კი არ გასცა თანამგზავრს.

პირველს მეორეც შეჰყვა მდინარეში. მათ ფეხზე არ გაუხდიათ. წყალი ყინულივით ცივი იყო, ისეთი ცივი, რომ ფეხები და ფეხის თითები სულ გაუშეშდათ. ზოგან წყალი მუხლებამდე წვდებოდათ, ორთავე ბორძიკობდა, წონასწორობას კარგავდა.

მეორე მგზავრს ფეხი აუცურდა სიპ ქვაზე და კინაღამ წაიქცა, თავი შეიმაგრა, მაგრამ ტკივილისაგან ხმამაღლა წამოიყვირა. ალბათ, თავბრუ დაეხვა,—დაბარბაცდა და თავისუფალი ხელი ისე გაიქნ-გამოიქნია, თითქოს ჰაერს ებღაუჭებაო. როცა გასწორდა, ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ისევ დაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა. მაშინ ის გაჩერდა და თანამგზავრს გახედა. თანამგზავრი კი გზას განაგრძობდა ისე, რომ უკანაც არ მოუხედავს.

ფეხნატკენი კაცი ერთ წუთს უძრავად იდგა, თითქოს რაღაცას ისაზრებსო, შემდეგ დაიძახა:

«ბილ, გამიგონე, მე ფეხი ვიღრძე».

ბილი კი ნელა მიფონავდა რძისფრად აქაფებულ მდინარეს. ერთხელაც არ მოუხედავს უკან. მეორე გაჰყურებდა მას და თუმცა მისი სახე წინანდებურად უმეტყველო იყო, თვალებში მაინც ჩაუდგა სევდა, როგორც დაჭრილ ირემს.

ბილი უკვე გავიდა მეორე ნაპირზე და უკანმოუხედავად განაგრძო გზა. მას თვალს არ აშორებდა ის, ვინც მდინარეში იდგა. ტუჩები ისე უთრთოდა, რომ ზედ უხეში, მწითური ულვაშები შესამჩნევად ერხეოდა. გამშრალი ტუჩები ენის წვერით მოილოკა.

«ბილ!»—გასძახა მან.

ეს იყო უბედურებაში მყოფი ძლიერი კაცის მავედრებელი ღრიალი, მაგრამ ბილმა თავიც არ მოიბრუნა. ამხანაგი დიდხანს გასცქეროდა და ხედავდა, რომ ბილი ათრეული ნაბიჯით, კოჭლობითა და ბორძიკით ადიოდა ფერდობზე ჰორიზონტის ხაზისაკენ, რომელსაც ჰქმნიდა მთის პატარა ქედი. გასცქეროდა მანამ, ვიდრე ბილი ქედს გადავიდოდა და თვალს მოეფარებოდა. მერე თავი იბრუნა და ნელა მოავლო თვალი სამყაროს იმ წრეს, რომელშიც მარტო დარჩა ბილის წასვლის შემდეგ.

ცის დასალიერზე მკრთალად ანათებდა მზე. იგი ძლივს ჩანდა უნაპირო და უსახო ჯანღსა და სქელ ნისლში, რომელიც შავლეგა ზეწარივით გადაფენოდა ჰორიზონტს. მგზავრმა მთელი თავისი სიმძიმე ცალ ფეხზე გადაიტანა და ჯიბიდან საათი ამოიღო. უკვე შუადღის ოთხი საათი იყო. ვინაიდან ივლისის დამლევი თუ აგვისტოს დამდეგი იყო (ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში მას დღეების სათვალავი აერია). მან იცოდა, რომ მზე ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე უნდა ყოფილიყო. მგზავრმა სამხრეთისაკენ გაიხედა და ივარაუდა, რომ სადღაც იქ, ამ პირქუში გორაკების გადაღმა, მდებარეობდა დიდი დათვის ტბა და იმავე მიმართულებით სჭრიდა კანადის დაბლობს არქტიკის წრის საშინელი გზა. მდინარე, რომელშიც ის იდგა, მდინარე კოპერმაინის შენაკადი იყო, ხოლო კოპერმაინიც ჩრდილოეთისაკენ მიედინებოდა და კორონაციის უბეში უერთდებოდა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს. თვითონ ის არასდროს არ ყოფილა იქ, მაგრამ ეს ადგილები ერთხელ ჰუდზონის უბის კომპანიის რუკაზე ნახა.

მან კვლავ მოავლო თვალი სამყაროს იმ წრეს, რომელშიც ახლა მარტო დარჩა. სანახაობა ერთობ ნაღვლიანი იყო. დაბალი ქედები ერთფეროვან დაკლაკნილ ხაზად გავლებოდნენ ცას ჰორიზონტზე. აქ არ იყო არც ხეები, არც ბუჩქები, არც ბალახი—არაფერი, გარდა თვალგადაუწვდენელი და საშინელი უდაბნოსა. მის თვალებში უეცრად შიში ჩაისახა.

«ბილ!»—ჩაიჩურჩულა მან და ისევ გაიმეორა: «ბილ!»

რძისფერ მდინარის შუაგულში ჩაცუცქდა, თითქოს უნაპირო უდაბნოს ულმობელი ძალა ახრჩობდა და სტანჯავდა თავისი საშინელი მყუდროებით. ხურვებაშეყრილივით აკანკალდა და თოფი წყალში ჩაუვარდა. ამან გონს მოიყვანა. შიში დასძლია, გული გაიმაგრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალში ხელი მოაფათურა და თოფი ამოიღო. მერე ფუთა მარცხენა მხრისაკენ გადასწია, რომ სიმძიმე მტკივან ფეხს ნაკლებად დასწოლოდა, და ნელა, ფრთხილად გასწია ნაპირისაკენ, თანაც ტკივილებისაგან სახე ემმუხნებოდა.

შეუჩერებლად მიდიოდა. ტკივილებს ყურადღებას არ აქცევდა, გიჟური თავდავიწყებითა და აჩქარებით ადიოდა გორაკზე, რომლის თხემს მოეფარა მისი ამხანაგი. ახლა თვითონ უფრო გროტესკული და კომიკური იყო, ვიდრე კოჭლი ბილი, რომელიც წეღან ძლივს მიჩლახუნობდა. მაგრამ თხემიდან მან დაინახა, რომ ქვემოთ ჭალაში სულდგმულიც კი არ ჭაჭანებდა. მგზავრი კვლავ შიშმა შეიპყრო, მაგრამ გული ისევ გაიმაგრა, ფუთა კიდევ უფრო გადასწია მარცხენა მხრისაკენ და კოჭლობით დაეშვა თავქვე.

ჭალა ჭანჭრობიანი იყო, სქელი ხავსი წყლით იყო გაჟღენთილი, როგორც ღრუბელი. ფეხის ყოველ გადადგმაზე წყლის შხეფები ცვიოდა აქეთ-იქეთ და ფეხსაცმელის ლანჩი ტლაშუნით შორდებოდა სველ ხავსს. მგზავრი ცდილობდა მიჰყოლოდა ბილის კვალს, გუბიდან გუბეში გადადიოდა იმ ქვების მეშვეობით, რომლებიც კუნძულებივით ამოჩრილიყვნენ ხავსის ფენებში.

მარტოდ დარჩენილს გზა არ დაჰკარგვია. მან იცოდა, ცოტა კიდევ და იმ ადგილთან მივიდოდა, სადაც სოჭისა და ნაძვის დაჩიავებული და გამხმარი ხეები გარს ერტყა პატარა ტბას—«თითჩინიჩილეს», რაც აქაურ მკვიდრთა ენაზე «პატარა ჩხირების ადგილს» ნიშნავს. ამ ტბას ერთვის პატარა მდინარე, რომელიც ანკარა და აუმღვრეველია. მას კარგად ახსოვდა, რომ მდინარის ნაპირები ლელიანია, მაგრამ უტყეო. იგი ამ მდინარეს აჰყვება ალმა და ივლის იმ ქედამდე, საიდანაც მეორე მდინარე უკვე პირშექცეული მიედინება დასავლეთისაკენ. მერე იმ მდინარეს დაჰყვება ქვემოთ და ივლის მდინარე დიზამდე. იქ კი იპოვის თავის სამალავს ჩამხობილი ნავის ქვეშ, რომელსაც ზემოდან ქვები აყრია. სამალავში არის ვაზნები მისი ცარიელი თოფისათვის, ანკესები, ნემსკავის ძუა და პატარა ბადე — ყოველივე ის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ რაიმე დაიჭიროს ან მოკლას და საჭმელი იშოვოს. კიდევ იქ ნახავს ცოტაოდენ ფქვილს, ცერცვს და ბეკონის ნაჭერს.

ბილი იქ დაელოდება მას, ისინი ერთად ჩაჰყვებიან ნავით მდინარე დიზს დიდი დათვის ტბამდე. მერე გადასცურავენ ტბას და წავლენ სამხრეთისაკენ, სულ სამხრეთისაკენ, სანამ არ მივლენ მდინარე მაკენზიმდე. სამხრეთისაკენ, სულ სამხრეთისაკენ ივლიან, სანამ ზამთარი დაეწევა მათ. მორევებს ყინული შეჰკრავს, სუსხიანი დღეები დაიწყება. — შეუნელებლად გასწევენ სამხრეთისაკენ, ჰუდზონის უბის კომპანიის რომელიმე თბილ პუნქტისაკენ. სადაც მაღალი და ძალოვანი ხეები იზრდებიან და სადაც საჭმელი თავსაყრელად იშოვება.

აი რას ფიქრობდა მგზავრი, რომელიც დიდის გაჭირვებით მიდიოდა წინ. მაგრამ თუ მისი სიარული ასე ძნელი იყო, კიდევ უფრო ძნელი იყო თავისთავის დაჯერება იმაში, რომ ბილმა არ მიატოვა ის. რომ ბილი ელოდებოდა მას სამალავთან. მას ასე უნდა ეფიქრა. თორემ სხვაგვარად ბრძოლის უნარი აღარ ექნებოდა, მიწაზე დაეგდებოდა და მოკვდებოდა. იმ ხნის განმავლობაში, სანამ მზის მკრთალი ბურთი ნელა ჩადიოდა ჩრდილო დასავლეთისაკენ. მან ფიქრით რამდენიმეჯერ დაფარა იმ გზის თითქმის ყოველი გოჯი, რომელიც ბილთან ერთად უნდა გაევლო სამხრეთისაკენ, რათა მოძალებულ ზამთარს გაქცეოდნენ. თავის გონებაში იგი ისევ და ისევ თვლიდა სამალავში დატოვებულ საჭმლის მარაგს და ჰუდზონის უბის კომპანიის საწყობში არსებულ მარაგსაც. ორი დღეა პირში არაფერი ჩაუშვია, მაგრამ უფრო დიდი ხანია, რაც საძღომად არაფერი უჭამია. ახლა ხშირად ჩერდებოდა, ჭაობის უფერულ კენკრას სწყვეტდა, პირში იდებდა, ღეჭავდა და ყლაპავდა. ჭაობის კენკრა წყლიანია და ამიტომ პირში მალე დნებოდა. რჩებოდა მხოლოდ მწარე და მჩხვლეტავი თესლი. მან იცოდა, რომ კენკრა ვერ მოუკლავდა შიმშილს, მაგრამ მაინც მოთმინებით ღეჭავდა, რადგან იმედი ხანდახან გვერდს უვლის ხოლმე ცოდნასა და გამოცდილებას.



ცხრა საათზე მგზავრმა ფეხის ცერი წამოკრა ქვას, დაბარბაცდა და წაიქცა სისუსტისა და დაქანცულობისაგან. ერთხანს გაუნძრევლად იწვა გვერდზე, მერე ფუთის სამხრეები მოიშორა, უხერხულად წამოიწია და დაჯდა. ჯერ კიდევ არ ბნელოდა. დაბინდულ სინათლეზე ქვებს შორის ხელების ფათურით შეუდგა ხმელი ხავსის შეგროვებას ბლუჯა-ბლუჯად. საკმაოდ რომ მოაგროვა, ნელი, აკვამლებული ცეცხლი გააჩაღა, ზედ წყლით სავსე თუნუქის პატარა ქვაბი შემოდგა.

მერე ფუთა გახსნა და უპირველეს ყოვლისა დაითვალა, თუ რამდენი ღერი ასანთი ჰქონდა. აღმოჩნდა სამოცდაშვიდი ღერი გულირომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეჯერებინა, სამჯერ გადათვალა. მერე რამდენიმე ნაწილად გაჰყო და თვითეული ნაწილი პერგამენტის ქაღალდში შეახვია: ერთი შეკვრა თუთუნის ცარიელ ქისაში ჩასდო, მეორე თავის დაძველებული ქუდის სარჩულში შეინახა, მესამე კი ხალათის უბეში ჩაიდო. ყოველივე ეს რომ მოათავა, უეცრად შიშმა შეიპყრო: სამივე შეკვრა გახსნა და კვლავ გადათვალა. ასანთის ღერები ისევ სამოცდაშვიდი იყო.

ცეცხლთან გააშრო სველი ფეხსაცმელები. მოკასინები[1] სულ ნაფლეთებად ქცეულიყო, საბნის ნაჭრებისაგან შეკერილი წინდები ბევრ ადგილას დახეულიყო და ფეხები ისე გადატყავებოდა, რომ სისხლი სდიოდა. მგზავრმა გაისინჯა ფეხის კოჭი, რომელიც ტკივილისაგან უფეთქავდა: ისე გასივებოდა, რომ თითქმის მისი მუხლის სიმსხო იყო, თავისი ორი საბნიდან ერთ-ერთს გრძელი ნაჭერი მოახია და კოჭზე მაგრად შემოიხვია. კიდევ ჩამოხია რამდენიმე ნაჭერი და ფეხებზე დაიხვია ისე, რომ მოკასინებისა და წინდების მაგივრობა გაეწიათ; მერე ქვაბიდან ცხელი წყალი დალია, საათი მომართა და საბნებში გაეხვია.

მკვდარივით ეძინა. შუაღამისას ჩამობნელდა, მაგრამ წყვდიადი მალე გაიფანტა. მზე ჩრდილოაღმოსავლეთის მხრიდან ამოვიდა. უკეთ რომ ვთქვათ, ამ მხარეზე ამოიწვერა სინათლე, რადგან მზე ლეგა ღრუბლებში იმალებოდა.

ექვს საათზე გაეღვიძა, მშვიდად იწვა გულაღმა. პირდაპირ ახედა ყომრალ ცას და გაახსენდა. რომ მშიერი იყო. გვერდშებრუნებით იდაყვზე წამოიწია და უეცრად ძლიერმა ფრუტუნმა შეაკრთო. მის თვალწინ ხარირემი იყო, რომელიც შიშითა და გაკვირვებით მისჩერებოდა მას. ნადირი ორმოცდაათზე მეტი ნაბიჯით არც კი იქნებოდა დაშორებული მისგან და მგზავრმა უმალვე წარმოიდგინა ცეცხლზე აშიშხინებული ირმის ხორცის სუნი და გემო. უნებურად სტაცა ხელი ცარიელ თოფს, ნადირს დაუმიზნა და ჩახმახი დააცემინა. ხარირემმა დაიფრუტუნა და ფლოქვების თქარათქურით თვალს მიეფარა.

მგზავრმა ერთი მაგრად შეიგინა, თოფი გადააგდო, მძიმედ ამოიხვნეშა და ფეხზე წამოდგომა დააპირა. მაგრამ ეს დიდი გაჭირვებითა და დაგვიანებით შესძლო. მისი სახსრები იმ დაჟანგულ და ხახუნისაგან გაცვეთილ რკინის ანჯამებს დამგვანებოდნენ, ბუდეში ძლივს რომ მოძრაობენ. მათ ყოველ მოხრასა და გამართვას ნებისყოფის დიდი დაძაბვა სჭირდებოდა. ბოლოს როგორც იქნა, ფეხზე წამოდგა, მაგრამ კიდევ მთელი ერთი წუთი დასჭირდა, სანამ ადამიანივით წელში გაიმართებოდა.

პატარა გორაკზე ავიდა და ირგვლივ მიმოიხედა. თვალსაწიერზე არ ჩანდა არც ხეები, არც ბუჩქები, არც არაფერი, გარდა ზღვასავით გადაშლილ რუხი ხავსისა, რომელშიც აქა-იქ მოჩანდა რუხი ლოდები, რუხი გუბეები და რუხი ღელეები. ცაც რუხი ფერისა იყო. ცაზე მზის ნასახიც კი არსად სჩანდა. კაცს უკვე წარმოდგენა აღარ ჰქონდა, საით იყო ჩრდილოეთი, დაავიწყდა ისიც რომელ მხრიდან მოვიდა გუშინ საღამოს აქ. მაგრამ გზა მაინც არ აებნა. მან იცოდა, რომ მალე მივიდოდა «პატარა ჩხირების ადგილას», გრძნობდა, რომ ეს ადგილი სადღაც მარცხენა მხარეს იყო, აქედან არც ისე შორს, შესაძლოა, შემდგომი გორაკის იქით...

ის დაბრუნდა იქ, სადაც ღამე გაათია, რომ ფუთა სამგზავროდ შეეკრა, ასანთის სამივე შეკვრა გასინჯა, მაგრამ გადათვლა არ დაუწყია. მხოლოდ დომბას ტყავის პირთამდე ავსებულ პრტყელ ტოპრაკზე ჩაფიქრდა დიდხანს. ტოპრაკი დიდი არ იყო, ორივე ხელის პეშვები მოთავსდებოდა მხოლოდ, მაგრამ იცოდა, რომ ხუთმეტ გირვანქას იწონიდა — იმდენსავე რამდენსაც მთელი დანარჩენი ბარგი, — და ეს აწუხებდა მას, ბოლოს, ტოპრაკი განზე გადადო და ფუთის შეკვრას შეუდგა, მერე ერთხანს ისევ დომბას ტყავის ტოპრაკს მიაჩერდა. სასწრაფოდ დასტაცა ხელი და ისე გამომწვევად გადახედა გარემოს, თითქოს ამ უდაბურ ადგილს მისი გაძარცვა სურდა. ფეხზე როცა წამოდგა და ლასლასით გაუდგა გზას, ტოპრაკი უკვე ზურგზე მოკიდებულ ფუთაში ედო.

პირი მარცხნივ იბრუნა და წინ გასწია, დროდადრო ჩერდებოდა და ჭაობის კენკრას ჭამდა. ფეხის კოჭი სულ გაუშეშდა, კოჭლობა უფრო დაეტყო, მაგრამ ფეხის ტკივილი არაფერი იყო სტომაქის ტკივილთან შედარებით. შიმშილი აუტანელ ტანჯვას აყენებდა. ტკივილი სულს უღრღნიდა და უკვე აღარ იცოდა, საით წასულიყო. რომ «პატარა ჩხირების ადგილამდე» მიეღწია, ჭაობის კენკრა საშინელ შიმშილს ვერ უკლავდა, მხოლოდ ენასა და სასას უშუშხავდა.

---

[1] ინდიელთა ფეხსაცმელი.

პატარა ღარტაფს რომ მიადგა, ქვებიდან და კოლბოხებიდან თეთრი კაკბების გუნდი წამოუფრინდა კრიახითა და კაკანით. ქვა ესროლა, მაგრამ ააცდინა. მერე ფუთა ძირს დადო და ხოხვით დაუწყო მიპარვა, როგორც კატა ეპარება ხოლმე ბეღურებს. წვეტიანმა ქვებმა შარვალი დაუხია. მიწაზე მუხლებიდან დადენილი სისხლის კვალი რჩებოდა, მაგრამ ტკივილს მაინც ვერ გრძნობდა,—შიმშილი ახშობდა ამ ტკივილს. სველ ხავსზე მიხოხავდა. ტანისამოსი დაუსველდა. სხეული გაეთოშა. მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა, რადგან შიმშილი ძლიერ ტანჯავდა მას. თეთრი კაკბები კი ფრინდებოდნენ და ფრინდებოდნენ მის ირგვლივ. ბოლოს, მათი კრიახიც დაცინვად ეჩვენებოდა, კაკბებს შეაგინა და გამოსაჯავრებლად მათებრ აკრიახდა ხმამაღლა.

ერთხელ კინაღამ ზედ წააწყდა კაკაბს, რომელსაც ალბათ ეძინა. ქვებს შორის იგი ვერ ხედავდა ფრინველს, სანამ პირდაპირ ცხვირწინ არ წამოუფრინდა. კაკაბი ძლიერ სწრაფად აფრინდა, მაგრამ კაცმა ასევე სწრაფად სტაცა ხელი და ხელში კუდის სამი ფრთა შერჩა. ფრინველს თვალი გაადევნა და მის მიმართ ისეთი ზიზღი იგრძნო, თითქოს ფრინველს საშინელი ბოროტება დაეტეხოს მის თავზე. მერე ფუთასთან დაბრუნდა და ზურგზე მოიგდო.

შუადღისას მივიდა ჭაობთან, სადაც უფრო მეტი ფრინველი და ნადირი იყო. თითქოს აღიზიანებენო, მას გვერდით ჩაუარა კანადური ირმების მთელმა ჯოგმა, ოცამდე იქნებოდა, ირმებმა ისე ახლოს გაუარეს, რომ თოფით შეიძლებოდა მათი მოკვლა. კაცი შეიპყრო ველურმა სურვილმა—დადევნებოდა მათ. დარწმუნებული იყო, რომ დაეწეოდა ჯოგს. ამ დროს შავი მელა შეეფეთა, რომელსაც პირში კაკაბი ეჭირა. კაცმა დაიყვირა. ეს ყვირილი საშინელი იყო, დამფრთხალი მელა განზე გახტა, მაგრამ ნადავლი პირიდან არ დაუგდია.

ნაშუადღევს მოგვიანებით მიჰყვებოდა რძისფრად ამღვრეულ მდინარის ნაპირს, რომელიც მეჩხერი ლელით იყო დაფარული. ლელის ღეროს სულ ძირთან ჩაავლო ხელი და მიწიდან რაღაც ბოლქვისებური ამოგლიჯა, ლურსმნის თავის ოდენა. ბოლქვი რბილი აღმოჩნდა და კბილებში მადიანად ახრამუნდა. მაგრამ ბოჭკო უხეში და ისეთივე წყლიანი იყო, როგორც კენკრა. ამიტომ შიმშილს ვერ უკლავდა. მან ტვირთი მოიხსნა და დაოთხებული შეფორთხდა ლელიანში: ბოლქვებს ისე ახრამუნებდა და ღეჭავდა, როგორც მცოხნავი ცხოველი.

ძლიერ დაიღალა, ხშირად მიწაზე დაწოლა და დაძინება უნდოდა, მაგრამ «პატარა ჩხირების ადგილამდე» მისვლის ძლიერი სურვილი და უფრო მეტად შიმშილი მოსვენებას არ აძლევდა. გუბეებში ბაყაყებს ეძებდა, ხელებით მიწას ფოფრავდა იმის იმედით, იქნებ ჭიები ვიპოვოო, თუმცა იცოდა, რომ ასე შორს ჩრდილოეთში არც ჭიები და არც ბაყაყები არ არსებობდნენ.

ყოველ გუბეში იხედებოდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, დაბინდებისას ერთ გუბეში დაინახა ერთადერთი თევზი, ჭიჭყინას ოდენა. ხელი სულ მხრამდე ჩაყო წყალში, მაგრამ თევზი გაუსხლტა. მერე ორივე ხელით სცადა თევზის დაჭერა და გუბის ფსკერზე დალექილი შლამი წამოშალა. მღელვარებისაგან ფეხი დაუცურდა, წყალში ჩავარდა და წელამდე დასველდა. წყალი ისე აამღვრია, რომ თევზის დანახვა შეუძლებელი იყო. იძულებული გახდა დაეცადა, სანამ შლამი ფსკერზე დაილექებოდა. მერე ისევ შეუდგა თევზის დაჭერას და მანამ ცოდვილობდა, სანამ წყალი ისევ არ აიმღვრა. ახლა წყლის დაწმენდას ველარ დაუცდიდა. ფუთას თუნუქის ვედრო მოხსნა და გუბიდან წყლის ამოხაპვა დაიწყო: პირველად ისეთი გაშმაგებით ხაპავდა, რომ სულ გაიწუწა და წყალსაც ისე ახლოს აქცევდა, რომ იგი ისევ გუბეში ჩადიოდა. მერე უფრო ფრთხილად დაიწყო წყლის ამოქცევა, ცდილობდა დამშვიდებული ყოფილიყო, თუმცა გული ძლიერ უცემდა და ხელები უკანკალებდა. ნახევარი საათის შემდეგ გუბეში თითქმის აღარ დარჩა წყალი. ფსკერიდან აღარაფრის ამოხაპვა არ შეიძლებოდა. მაგრამ თევზიც გაქრა. კაცმა ქვებს შორის დაინახა ხვრელი, რომლის საშუალებითაც თევზი გამძვრალიყო მოსაზღვრე გუბეში, ისე დიდ გუბეში, რომ მისი ამოხაპვა ერთ დღედაღამეშიაც არ შეიძლებოდა. ადრევე რომ შეენიშნა ეს ხვრელი, თავიდანვე ქვით დაგმანავდა და თევზს ხელში ჩაიგდებდა.

სველ მიწაზე დაეგდო, ჩაფიქრდა და სასოწარკვეთილებას მიეცა. პირველად ჩუმად ატირდა, მერე ხმამაღლა აქვითინდა და ამ ქვითინით ულმობელი უდაბნოს მდუმარება დაარღვია. დიდხანს ტიროდა უცრემლოდ, ძი[illegible] და ქვითინისაგან.

ცეცხლი გააჩაღა, ბევრი მდუღარე წყალი შესვა და გათბა. მერე ისე, როგორც წინა ღამეს, სიპიან ადგილზე ღამის სათევი მოიწყო. ძილის წინ ასანთის ღერები გასინჯა, ხომ არ დასკელდაო. და საათი მომართა. საბნები სველი და ცივი იყო. ფეხის კოჭი საშინლად უფეთქავდა. მაგრამ მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მშიერი იყო და ღამითაც მშფოთვარე ძილში ქეიფები, ლხინი და საჭმელებით სავსე სუფრები ესიზმრებოდა.

გაეღვიძა გათოშილსა და ავადმყოფს. მზე არ ჩანდა. ცასა და მიწას ჩამუქებული ტყვიისფერი დასდებოდა. ნესტიანი ქარი ქროდა, პირველ თოვლს გორაკები გადაეთეთრებინა. სანამ კაცი ცეცხლს აჩაღებდა და წყალს ადუღებდა, ჰაერი თითქოს გასქელდა და გათეთრდა. ციდან უხვად ეშვებოდა თოვლჭყაპი. პირველად თოვლის ფანტელები მიწაზე დაცემისთანავე დნებოდნენ, მაგრამ თოვა თანდათან მატულობდა და მიწას ფარავდა. ბოლოს მოგროვილი ხავსი სულ დასველდა და ცეცხლიც ჩაქრა.

ეს იმის ნიშანი იყო, რომ ფუთა კვლავ ზურგზე მოეგდო და გზას გასდგომოდა ფორთხვით, მაგრამ საით მიდიოდა,—ეს კი აღარ იცოდა. ის უკვე აღარ ფიქრობდა არც «პატარა ჩხირე-



ბის ადგილზე», არც ბილზე და არც იმ სამალავზე, რომელიც მდინარე დიზთან ჰქონდა. მხოლოდ ერთი რამ-ღა ახსოვდა: «ჭამა». შიმშილისაგან გაგიჟებული იყო. მისთვის სულერთი იყო საითაც წავიდოდა, ოღონდაც სწორ ადგილზე ევლო. სველი თოვლის ქვეშ ჭაობიან ნიადაგში ხელის ფათურით ეძებდა წყლიან კენკრას, ძირიანად გლეჯდა ლელის ღეროებს. მაგრამ ყოველივე ეს უგემური იყო და შიმშილსაც ვერ უკლავდა. მერე იგი წააწყდა სარეველა ბალახს, რომელსაც მჟავე გემო ჰქონდა, და შეჭამა რამდენიც იპოვა. მაგრამ ეს ცოტა იყო, რადგან ბალახი მიწაზე იყო გართხმული და თოვლის ქვეშ მისი პოვნა ადვილად არ შეიძლებოდა.

იმ ღამეს მას არც ცეცხლი დაუნთია, არც წყალი აუდუღებია, ისე შეძვრა საბნის ქვეშ და შიმშილისაგან გაწამებულმა მშფოთვარე ძილს მისცა თავი. თოვლი ცივმა წვიმამ შესცვალა. მგზავრმა რამდენჯერმე გაიღვიძა, რადგან წვიმა სახეზე ესხმოდა. გათენდა, უმზეო და ბურუსიანი დღე დადგა. წვიმა შეწყდა, მგზავრს ახლა შიმშილის გრძნობა მიუყუჩდა. მხოლოდ მუცელში გრძნობდა გამუდმებულ ყრუ ტკივილს, მაგრამ ეს დიდად არ აწუხებდა. გონება გადაეწმინდა და ახლა კვლავ ფიქრობდა «პატარა ჩხირების ადგილზე» და თავის სამალავზე, რომელიც მდინარე დიზთან ჰქონდა.

მან გრძელ-გრძელ ნაჭრებად დახია ერთი საბნის ნარჩენი და გასისხლიანებულ ფეხებზე დაიხვია, მერე მტკივანი კოჭიც შეიხვია და გადასავლისათვის გაემზადა. ფუთას რომ მიადგა, ისევ დიდხანს დასცქეროდა დომბას ტყავისაგან შეკერილ ტოპრაკს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც მოიკიდა ზურგზე.

წვიმამ თოვლი გაადნო და მხოლოდ გორაკების მწვერვალები დარჩა გადათეთრებული. მზემ გამოიჭიატა და მგზავრმა შეძლო გარკვეულიყო გარემოში, თუმცა ახლა მან იცოდა, რომ გზა აბნეული ჰქონდა. ალბათ, ამ უკანასკნელ დღეებში ბორიალის დროს ძლიერ შორს წავიდა მარცხნივ. ახლა გეზი მარჯვნივ დაიჭირა, რომ სწორ გზაზე გასულიყო.

შიმშილი აღარ სტანჯავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ არაქათი გამოელია. ჭაობის კენკრისა და ლელის ბოლქვების შეგროვების დროს ხშირად ჩერდებოდა და ისვენებდა. ენა გაუსივდა და გაუშრა, თითქოს ბუსუსები მოსდებოდა ზედ, პირში მწარე გემო ჰქონდა. მაგრამ ყველაზე მეტად გული აწუხებდა. რამდენიმე წუთს რომ გაივლიდა, გული უმოწყალოდ ბაგა-ბუგს უწყებდა. მერე თითქოს მკერდში მაღლა შეხტებოდა, არეულად და მტკივნეულად აუძგერდებოდა. კაცს სულისხუთვა და თავბრუხვევა ეწყებოდა.

შუადღისას დიდ გუბეში დაინახა ორი ქიჭყინა თევზი. წყლის ამოხაპვა შეუძლებელი იყო, მაგრამ ახლა უფრო დინჯად იქცეოდა და თევზების დაჭერა თუნუქის ვედროთი მოახერხა. ისინი სიგრძით მისი ნეკის ოდენა ძლივს იქნებოდნენ, მაგრამ ახლა მას არც თუ ისე შიოდა, სტომაქში ტკივილები თანდათან უყუჩდებოდა, თითქოს სტომაქი თვლემსო. თევზები უმად შეჭამა, გულდაგულ დაღეჭა. ეს წმინდა გონივრული მოქმედება იყო, მას ჭამა არ უნდოდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს საჭირო იყო მისი სიცოცხლისათვის.

საღამოს კიდევ სამი ქიჭყინა დაიჭირა, ორი შეჭამა, მესამე კი საუზმისათვის მოიტოვა. მზემ გააშრო ხავსის ნაფლეთები, იშვიათად რომ ხვდებოდა ხოლმე გზაზე, მგზავრმა წყალი აადუღა და დალია, რომ გამთბარიყო. ამ დღეს მან გაიარა არა უმეტეს ათი მილისა, მეორე დღეს კი — არა უმეტეს ხუთისა, რადგან მხოლოდ მაშინ მოძრაობდა, როცა გული არ ღალატობდა. სტომაქის ტკივილი უკვე აღარ აწუხებდა, სტომაქმა თითქოს დაიძინაო. ადგილმდებარეობა ახლა მისთვის უცნობი იყო, აქ ბლომად იყო კანადის ირმები და მგლები. ხშირად უდაბურ შორეთიდან მოისმოდა მგლების ყმუილი, ერთხელ კი დაინახა სამი მგელი, რომლებმაც შემპარავად გადაურბინეს გზაზე.

კიდევ ერთი ღამე გავიდა და დილით, ცოტა გონს რომ მოეგო, გახსნა ღვედი, რომლითაც დომბას ტყავის ტოპრაკი ჰქონდა შეკრული. პირმოხსნილ ტოპრაკიდან ყვითელ ნაკადულივით წამოვიდა ოქროს ნამცეცები და ზოდები. მან ოქრო დაახლოებით შუაზე გაყო, ერთი ნაწილი საბნის ნაჭერში შეახვია და გადმოყუდებულ კლდის ქვეშ დამალა, მეორე ნაწილი კი ისევ ტოპრაკში ჩააბრუნა. ერთი დარჩენილი საბნის ნახევარიც ფეხსახვევებად გამოიყენა, მაგრამ თოფს მაინც არ ეშვებოდა, რადგან მდინარე დიზთან სამალავში ვაზნები ჰქონდა დატოვებული.

ღრუბლიანი დღე იყო, ამ დღეს შიმშილმა კვლავ გაუხსენა. მგზავრი ძლიერ დაკუსტებული იყო და თავი ისე უბრუოდა, რომ დროდადრო თვალები უბნელდებოდა. მისთვის ეს უჩვეულო არ იყო. ახლა იგი სულ ბორძიკობდა და ეცემოდა, ერთხელ კი პირდაპირ კაკბის ბუდეს დაეცა. ბუდეში ახლად გამოჩეკილი ოთხი ბარტყი იყო, არა უმეტეს ერთი დღისა, თვითეული მხოლოდ ერთ ლუკმად კმაროდა. მან ცოცხლად ჩაიტენა ისინი პირში და ხარბად დაუწყო ჭამა. ბარტყებს კბილებში კნაწა-კნუწი გაჰქონდა, როგორც კვერცხის ნაჭუჭს, დედა-კაკაბი საშინელი კრიახით ეხეთქებოდა irგვლივ. მგზავრს სურდა თოფის კონდახით მოეკლა იგი, მაგრამ კაკაბი შორს გაუსხლტდა. მაშინ მან ქვების სროლა დაუწყო და ერთი გასროლით ფრთა მოსტეხა. კაკაბმა მოტეხილი ფრთა მიწაზე გაათრია და გაიქცა, მაგრამ მგზავრი უკან დაედევნა,

ბარტყებმა მხოლოდ მადა გაუხსნეს. მგზავრი უხერხული ხტუნვით მისდევდა ფრინველს. მტკივან ფეხზე ეცემოდა, ხან ქვებს ესროდა და ხრინწიანი ხმით გაჰყვიროდა, ხან ჩუმად მიხტოდა, პირქუშად და მოთმინებით დგებოდა ზეზე ყოველი დაცემის შემდეგ და თვალებს იფშვნეტდა, რათა თავბრუხვევა დაეძლია, გულისწასვლით რომ ემუქრებოდა,

კაკაბის გამოდევნებამ მგზავრი ჭაობიან დაბლობში ჩაიყვანა და იქ სველ ხავსზე მან შენიშნა ადამიანის ნაფეხური. ეს მისი საკუთარი ნაფეხური არ იყო — ეს მან კარგად შეამჩნია. ალბათ, ბილის ნაფეხური თუ იყო. მაგრამ მგზავრს შეჩერება არ შეეძლო, რადგან დედა-კაკაბი სულ გარბოდა. ჯერ ფრინველს დაიჭერს, მერე კი დაბრუნდება და ნაკვალევს შეამოწმებს.

დედა-კაკაბი დაქანცა, მაგრამ თვითონაც დაიქანცა. ილაჯგაწყვეტილი ფრინველი გვერდზე მიეგდო, გატანჯული მგზავრიც მისგან თორმეტიოდე ნაბიჯის დაშორებით დაწვა. მას აღარ შეეძლო ფრინველთან მიხოხება. ხოლო როცა სული მოითქვა, ფრინველმაც ძალა მოიკრიბა და მგზავრის ხარბად გაწვდილ ხელს გაექცა. მგზავრი ისევ გამოუდგა კაკაბს. მაგრამ ამ დროს კიდევაც დაღამდა და კაკაბი დაიმალა. კაცი დაღლილობისაგან წაბორძიკდა და ზურგზე ფუთა მოკიდებული პირქვე წაიქცა. დაცემისას ლოყა გაიხეთქა. დიდხანს არ განძრეულა, მერე გვერდზე შებრუნდა, საათი მომართა და დილამდე ასე იწვა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ეროვნული



# ზემო სვანეთში

## იყო და არა იყო რა...

დგანან ქუდმოხდილები, ხანაც ქუდაინები,—ეს მაშინ, როცა თავს ღრუბლის ქულა ადევთ.

მწვერვალები—უშბა, თეთნულდი... ზოგნი კუზიანნი, ზოგნი კეკლუცნი, ზოგჯერ თოვლიანნი, ზოგჯერ უთოვლონი. სალოცავივით წმიდა, უკარება, და მაინც ქედმოხრილნი, გულზე ადამიანის ნაფეხურებით.

უშბა, თეთნულდი... საუკუნეების წლისა, საუკუნეების მომსწრე. მათ კალთებზე შესეული ასწლოვანი კოშკებით, მათ უბეში ჩამსხდარი სოფლებით, აბჯრიანი გოლიათებით, ფეხმარდი და რკინისგულა სვანებით.

მოვიდნენ და საფარად ეს მთები ირჩიეს, საცხოვრებლად დარჩნენ (იქნებ ამიტომაც უწოდეს ამ მხარეს სავანე). შუბები გამოსჭედეს, სანადიროდ გავიდნენ, მთის ფერდობებზე ქერი დასთესეს, ჯოგები მოამრავლეს, ფუტკარი მიიჩვიეს.

დასახლდნენ და თავისუფლება ანდერძად დაიდეს, ქვითკირით დაადუღაბეს—კოშკები აღმართეს. თავისუფლება ჰქონდათ, მაგრამ სიღარიბეც. უგზოდ ცხოვრობდნენ, ქვეყნისგან მოწყვეტით. ძლიერნიც იყვნენ და უძლურნიც აკი სტრაბონი ამბობდა: «სონნი ძლიერი ხალხია, მგონია იგინი ვაჟკაცობითა და სამხედრო ძალღონით თითქმის ყველაზე ქველნი არიან», მაგრამ «მარტო ტყის ხილეულით, ნანადირევის ხორცითა და რძით იკვებებიან. ზამთარში ეს ქვეყანა მიუვალია. ფეხზე თხილამურაკრულნი და ტყავზედ დაჯდომით თუ არ ჩამოცურდებიან მთებითგან, სხვაფერ მოგზაურობა საშიშია».

ამგვარ თავისუფლებას არაფერი მოჰქონდა, გაჭირვება მევალესავით სდევდათ, სისხლის წილ სისხლი იღვრებოდა, და არც დადეშქელიანები შველოდნენ, არც გელოვანები, მანამ...

სანამ მუხლებზე წიგნი არ დაიდეს, სანამ მთებზე გზები არ გაჰკიდეს, სანამ ენგურზე ელსადგურები არ დაატრიალეს...

გზა ენგურის ნაპირს მიჰყვება, კლდის გულზე. გზად სოფლებია—მულახი, იფარი. გზაა ისეთი, თვალი უფსკრულში ჩაგეჩხება, მაინც სანდოა, იმედიანი. მიდის სულ ზემოთ, ორიათას მეტრს სცილდება სიმაღლით, მიდის იქ, სადაც ქალდანები და ავალიანები ცხოვრობენ, სადაც თეთნულდთან ჭიდილი იწყება, სადაც ჯერ კიდევ მხნედ არის 96 წლის ადსილ ავალიანი, სიმონ ჯაფარიძეს და პიმენ დვალს რომ ახლდა თეთნულდზე (პირველად თეთნულდი ადსილმა გასტეხაო,—ასე სჯერათ სვანებს), სადაც მონადირე ბექორბი ავალიანი, თუმც მეოთხმოცე წელშია, კოლმეურნეობას ყოველწლიურად 10 ტონა თივას აბარებს, სადაც დღემდე შემოინახა ცნობილი «ოთხთავი».

ადიში. იქნებ აღმოჩენაა ეს სოფელი, ასეთი ლამაზი! (და რწმუნდები, რომ ბუნება უიშვიათესი მხატვარია).

ადიში ქვეყნის რომელიც გნებავთ მხარეს უსმენს ტელეფონით. ადიში 64 ბავშვს ასწავლის სკოლაში, ბევრს უმაღლესში ზრდის, ბევრიც ნასწავლი დაუბრუნდა: სიდახან გულბანი, სიდუ ავალიანი, შარდენ ხაჭვანი...

ადიში ღმერთს აღარ ავედრებს ავადმყოფებს—საექიმო პუნქტი აქვს თვისი.

ადიში ყველაზე მოწინავეა მეცხოველეობის განვითარების მხრივ ზემო სვანეთში.

სამასი ჰექტარი ბუნებრივი სათიბი, შვიდასი ჰექტარი საძოვარი, მეცხოველეობის ფერმა, კარტოფილის, ქერის, ხორბლის ნათესები—41 კომლიან სოფელში.

ქორწინება ძალდატანებით აღარ ხდება. ავალიანებს ქალდანების სისხლი აღარ ჰმართებთ, ციხე-კოშკები თავდასაცავად როდი დგანან—ახალი ოდების გვერდით წარსულის მოწმეებად შემორჩენილან. მოხუცები კი, თუ ამ წარსულზე შეეკითხებით, თავს გადააქნევენ და ამბის მოყოლას ისე იწყებენ, როგორც ძველ ქართულ ზღაპარშია: «იყო და არა იყო რა...«

## დაუანგებულხარ, გორდაო!

— ქალი უნდა დავნიშნოთო,—თქვეს შუაკაცებმა და შემოაბიჯეს. ოჯახის თავი ზეზე წამოდგა,—მობრძანდითო. დიასახლისი აკვანს გადაეფარა.

— ჯერ არ მიგვყავსო,—ოხუნჯობაც სცადეს მოსულებმა. მამამაც კვერი დაუკრა. მორიგდნენ. ერთი-ორი სიტყვა დააგდეს და წავიდნენ. შინ კი მტირალი დედა დარჩა, აკვანში ჩაკრული ჩვილი და კედელზე მოლაპლაპე გორდა, ქალი მასთან მიიჭრა.

— ნეტა, რად გამოგჭედეს ჩვენს სატირლადო,—მოსთქვამდა,—თუ შვილი დავუკავეთ, სისხლს აიღებენო შენით. შენის შიშით დადუმდნენ ჩემი მშობლებიც და ქმარს მიმათხოვესო ძალით...

რატიანების ოჯახში მალე გაირბინა პატარა ქეთევანის ბავშვობამ. უსიყვარულოდ გააყოლეს აკვანში დანიშნულ ქმარს. ადათს ჩვენ თვით ვიხვევთ თავზეო,—ფიქრობდა ქეთევანი და ცდილობდა ყვარებოდა ქმარი, მაგრამ გულს ხომ ვერ უბრძანებდა. იქნებ ვერ იყო მოსიყვარული ცოლი, მაგრამ შვილები კი უყვარდა, ზრდიდა და მათი მომავალი ადარდებდა.

დღე არ გავიდოდა, თოფი არ გავარდნილიყო სვანეთში. შავებს ვერ იხდიდნენ ახლობლები. ერთი გამოტირებული არ ჰყავდათ, რომ მეორეს მარხავდნენ.—სისხლს ავიღებთო,—ჩასძახოდნენ საფლავებს წვერმოშვებული მამაკაცები.—სისხლი არ დაღვაროთ, მორიგდითო,—ევედრებოდა ვაჟკაცებს ქეთევანი.

— ჭკვიანი დედაკაციაო,—ამბობდნენ მე[illegible]ელები,—ლაპარაკიც საქმიანი იცისო,—და ხშირად იჯერებდნენ მისას.



საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
7753

ამიტომაც დაიამხანაგეს და იარაღასხმულებმა ქეთევანიც თან გაიყოლეს ბეჩოში, სადაც მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები უნდა დაეპატიმრებინათ. სვანი ქალებიდან პირველი კომუნისტი ქეთევანია, პარტიის ძველი წევრი.

მოხუცდა და ახლა თავის ეზოში ფუსფუსებს, შვილებსა და შვილიშვილებს უვლის. მაინც არ ჩაქრობია მაშინდელი ცეცხლი, როცა ხალხი შაბათობებზე გაჰყავდა, როცა გზების გაყვანაზე მუშაობდა, როცა ადათებს ებრძოდა, როცა ომში წასულებისთვის წინდებს ქსოვდა.

ხანდაზმულია ქეთევანი, 73 წლისაა. მაინც საქმიანობს, ბოსტანშიც არის, სათიბშიც. ოჯახის დიასახლისობაც მას აბარია. შეხვალთ სახლში და ყველაფერი კრიალებს. მხოლოდ გორდაა დაჟანგებული, გდია კუთხეში წარსულის გამოძახილად. განა მარტო რატიანებთან? ფილფანებთან, ფალიანებთან, ჯაფარიძეებთან, ჩართოლანებთან.



სვანების რძალი

გზად ახოვანი ვაჟკაცი შემოხვდათ.

— ხომ არ მოვიტაცოთო,—შეეკითხა პროფესორი ქალიშვილებს.

ყველამ გაიცინა ერთის გარდა. იცოდნენ, ამ ერთს რომ მოსწონდა ვაჟი. მერე კი მართლა «მოიტაცა» რუსმა გოგონამ იგი, ასე ამბობდნენ სვანები, თორემ სიყვარულმა გაადევნა თან სამეცნიერო ექსპედიაციასთან ერთად ჩამოსულ ახალგაზრდა ქიმიკოსს კალისტრატე ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძე.

მოსკოვში მიიღო უმაღლესი განათლება სვანეთის მკვიდრმა. რუს ქალიშვილთან პატარა ოჯახი მოაწყო. თუმც ახლა რუსს აღარ უწოდებდა თავის თავს სოფიო რეზნიკოვა—ჯაფარიძის გვარი მიიღო.

— ნეტა, რომელია ჩვენი რძალი?—კითხულობდნენ სვანები.—ალბათ ჩამოვაო—ფიქრობდნენ და პატარძალს ელოდნენ.

პატარძალი მართლაც დაბრუნდა მესტიაში, მაგრამ მარტოკა. კალისტრატე ფრონტზე გააცილა ცოლმა და თვითონ მის ოჯახს ეწვია, სოფლები შემოიარა სოფიომ. გლეხები ინახულა. ხშირად საათობით იჯდა მათთან და ბევრმა არ იცოდა, ამდენს რაზე დავობდნენ.

შემდეგ სოფელ ლენჯერში მიწის ნაკვეთი აიღო. აქ დასთესა სოფიომ ბოსტნეულის სხვადასხვა ჯიშები. სვანეთის მიწაზეც იხარა ხახვმა, პამიდორმა, კომბოსტომ...

ახლა გლეხები აღარ ედავებოდნენ სოფიოს.

... სვანებმა ზარიანი მოთქმა იციან. მაშინ კი მეტისმეტი მწუხარებისგან დადუმდნენ. სოფიომ უხმოდ დაიტირა ფრონტზე დაღუპული კალისტრატე. გლოვობდა სახლი, ციხე-კოშკსაც თითქოს ფუძე გამოეცალა. ფუძეს არ მოგიშლიო,—აღუთქვა მეუღლის ხსოვნას. მესტიაშივე შევიდა პარტიის რიგებში, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი თბილისში დაიცვა, მამა-პაპურ ციხესთან ძველი სახლის ნაცვლად ახალი ააგო, ეზოში საცდელი ნაკვეთი გამოჰყო.

ნაყოფით დამძიმებულა ვაშლისა და მსხლის ხეები ალექსანდრე და ქაბახან ჯაფარიძეების კარმიდამოში. ვაზიც ხარობს, ლელვიც. ვაჟის ჩამოსვლას ელის მოსკოვიდან ოჯახი. თუმც მოხუცები აღარ არიან, მარტო სოფიო ცხოვრობს აქ, ასე ჰგონია, მამა-პაპანიც ელიან მის შვილს.

— აი, ჩამოვა, დავაქორწინებ ჩემს ალექსის, იმრავლებს ჩვენი გვარი, — ფიქრობს დედა და მოლოდინში გარეთ აქვს თვალი.

გარეთ კი, ყველა სახლის წინ ხეხილის ბაღებია, ბოსტანი.

გემრიელია რძლის მორთმეული მოსავალი.

110 ქᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ

მთებში გაზაფხული გვიან მოდის. ბარი უკვე მწვანეშია გახვეული, როცა ილვიძებენ მთები. თეთრი პერანგის საკინძეს ჩამოიხსნიან და კლდე გულ-მკერდს უჩვენებენ მზეს. მაშინ ქვევით, ხევისაკენ გაიქცევიან ნაკადულები და ხევიც, რაგინდ პატარაც იყოს, ამ დროს გამედიდურდება, ხმაურით იკლებს მიდამოს...

უფრო გვიან აქ ყველაფერი იჟღინთება იელების სუნით.

— ამიტომ ჰქვია პატარა სოფელს, აი, იმ მთის კალთაზე რომ შეფენილა, იელი. — უხსნის ქალს მამაკაცი.

ქალი თავს უქნევს. შემდეგ თანამგზავრს შეხედავს და:

— რომ შეიძლებოდეს, აქ დავრჩებოდი, წვირმში.

მამაკაცი იღიმება:

— იცი, რა ცივია აქ ზამთარი?

— რა ლამაზია, — ფიქრობს ქალი. — რა ახლოა თეთნეულდი! გეგონება ხელით მიწვდები. რომ დავრჩებოდეთ...

მაგრამ ბინდდება, მესტიამდე კი გზა დიდია. გზაში ქალი ნახულს ვერ ივიწყებს: — «ლამაზი ყოფილა შენი წვირმი,» — და თვალწინ უდგას ორი სოფელი, ორი პატარა დობილი, მოპირდაპირე მთების კალთებიდან რომ უცქერიან ერთმანეთს.

— : — : — :—

მათ ერთმანეთი აჭარაში გაიცნეს, ქობულეთში. ქალი გურული იყო მთისპირიდან. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაემთავრებინა და ქობულეთის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. კარლო მუკვანი კი რაიონულ გაზეთს რედაქტორობდა.

ქალი მკვირცხლი იყო, ენამოსწრებული. ვაჟი — დარბაისელი და სიტყვაძუნწი. «ნამდვილი სვანია» — გაიფიქრა ნინომ, როცა ვაჟი გაიცნო. მოეწონა და შეამჩნია, რომ არც ის იყო გულგრილად.

სამი თვის დაქორწინებულები იყვნენ, ომი რომ გამოცხადდა. «ნეტავ სვანეთის ჩვენება მაინც მომესწრო შენთვისო», — ნანობდა ქმარი, ცოლს რომ ემშვიდობებოდა.

მერე ნინო შარაშიძეც ელოდა პატარა სამკუთხა ბარათებს. მალე სკოლის დირექტორად დანიშნეს. საკუთარ ბედზე ფიქრის დრო სად იყო. მაშინ ხომ იმდენი ბავშვი დაობლდა...

ბუდეებს რომ დაუბრუნდნენ ნაომარი ვაჟკაცები, მხოლოდ მაშინ აუწყლიანდა თვალები. ვინ დასძრახავდა? მაშინ იმდენმა ქალმა გამოიტირა ვაჟკაცის საიმედო მკერდზე ოთხი წლის დარდი და შიში.

ცხოვრება კალაპოტში ჩადგა და ქმარმა სვანეთისაკენ გაიწია. ნინოც დაეთანხმა.

— : — : — : —

ვაჟიანობა იფარში გადაიხადეს. აქ ნინო სკოლის დირექტორად იყო დანიშნული. შემდეგ მესტიაში გადავიდა. ქმარიც მესტიაში მუშაობდა.

1949 წელს, როცა სვანეთში კოლმეურნეობები ჩამოყალიბდა, წვირმელებმა კარლო მუკვანი თავმჯდომარედ აირჩიეს. ნინო უკვე ორი შვილის დედა იყო. გაიხარა — ის ისე მოხიბლა პატარა სოფელმა თეთნულდის ახლოს...

ქმარი შინ გვიან ბრუნდებოდა — ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობაში საქმე ბევრი იყო. მერე წვირმის კოლმეურნეობას იელიც რომ შეუერთეს, საზრუნავი მეტი გაუჩნდა.

ნინოს ქალობას ბევრი შენატროდა: სკოლასაც სანიმუშოდ ხელმძღვანელობდა, სახლსაც უვლიდა და წყვილი ქალ-ვაჟი კიდევ შემატა ოჯახს. ბევრს უკვირდა — ან ძილს როგორ ასწრებს, ან თავის მოვლასო. ის კი ქმარსაც ეხმარებოდა, თუ რამე გაუჭირდებოდა, — აი, სად

გამოადგა სუბტროპიკულ ტექნიკუმში გატარებული წლები. 6 წლის შემდეგ კი თავმჯდომარედ თვითონ ნინო აირჩიეს.

—:—:—

წინათ მთაში გაჭირვებას სათითაოდ ებრძოდნენ, ახლა ყველა ერთად ცდილობს ახალი ცხოვრების შექმნას. ბრძოლით უნდა გამოსტაცონ ბუნებას, რასაც ნებით არ იძლევა. მეთაურად ვაჟკაცებმა ქალი აირჩიეს, თვითონაც გვერდში ამოუდგნენ.

სხვა ქალებს ერთი ოჯახის მოვლა უჭირთ, მას კი ას ათი ოჯახი აბარია. ას ათი კომლის დიასახლისია.

ჰოდა, ამას რომ გაიფიქრებს, ზოგჯერ შეშფოთდება ნინო. თანაც დღე ისეთი მოკლეა!

ის რომ თვალს გაახელს, ვარსკვლავები მაშინ ხუჭავენ თვალებს. ჯერ სახლში მიიხედ-მოიხედავს — უჩემობა ხომ არ ატყვიაო. დამშვიდდება. კარგია სახლში მოყვარული დედამთილი.

ბავშვებს სძინავთ. ოთხივეს. გაიღვიძებენ და დედა შინ არ იქნება. ზოგჯერ დასაძინებლადაც ისე წვებიან, რომ დედა შინ არ არის. ეს მაშინ, როცა სამუშაო ძალიან ბევრია. ცდილობს კი, კარგი დედაც იყოს. დაღლილი ბრუნდება, მაგრამ უფროსებს გაკვეთილს მაინც გამოჰკითხავს, პატარასთვის იხსენებს ზღაპრებს.

—:—  —

სახნავი მიწა არც ისე ბევრი აქვს კოლმეურნეობას, სულ 98 ჰექტარი-პური, ქერი, კართოფილი, სიმინდი... მთაში მაინც მეცხოველეობაა მთავარი. 122 ძროხა ჰყავთ, ორი ფერმა — წვირმში და იელში. რამდენჯერ შუაღამისას წამოუყენებიათ თავმჯდომარე, როცა ფერმაში გაჭირვება იყო. განა იქ ჩინებული ვეტფერშალი არა ჰყავთ, განა იქ არ გაჩნდებოდა ზოოტექნიკოსი შალვა ფანგანი? მაინც ვერ მოისვენებდა თავმჯდომარე. ღამე თოვლში 8 კილომეტრის გავლა არც ისე ადვილი საქმეა. ზოგჯერ გათენებამდე ვერ მიაღწევდა იელის ფერმას.

თუ სახნავი მიწა ცოტაა, სამაგიეროდ სათიბი აქვთ ბევრი — 359 ჰექტარი. წელს კიდევ ახალი სათიბი აითვისეს, სამარხილე გზა გაიყვანეს «ბიძია თიოფანეს მთაზე».

ახლა ნინოს ყველაზე მეტად წყალსადენის მშენებლობა აინტერესებს. პროექტი თბილისში, სამინისტროში, უფასოდ შეუდგინეს, საჭირო მასალების ნაწილიც მიიღო. წელს თუ არა, გაისად ყველა კოლმეურნეს ექნება საკუთარ ეზოში წყალი, მერე შუქი უნდა გაიყვანონ, ოთხწლიანი სკოლა შვიდწლიანად გადაკეთდეს...

ხეხილი აქ არ არის, პანტის მეტი. პანტა კი, აბა, რა ხილია! ამიტომ დაამთავრა გელა გიგლემიანმა მცხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. წელს კოლმეურნეობას საკუთარი აგროტექნიკოსი ჰყავს. ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად ხეხილის ბაღებიც ექნება. აკი გამოიწერეს კიდეც მესტიიდან ყინვაგამძლე ჯიშები.

საქმე ბევრია, მაგრამ ისეთი ქალი არ არის ნინო შარაშიძე, საქმემ რომ შეაშინოს. დავიღალეო, ვერ ათქმევინებ, არ უყვარს წუწუნი. ქმარს მაინც ეცოდება. თვითონ რომ სამსახურიდან ბრუნდება, ოჯახს ახმარს ხელს. ხანდახან ცოლს გაეხუმრება კიდეც: «შენ რომ ჩემთვის ისე შეგეწყო ხელი, როგორც მე გეხმარები, ახლაც თავმჯდომარე ვიქნებოდიო.»

## მერე ისევ იწყებ თავიდან...

ეს ჩვეულებრივი საკლასო ოთახია — ფართო და მზიანი, კედლების გასწვრივ ჩარიგებული მერხებით, თავში მასწავლებლის პატარა მაგიდით, კედელზე შავი კრიალა დაფით.

ეს ჩვეულებრივი საკლასო ოთახია — დიდი ხნის ნაცნობი და ჩვეული. ბავშვებმა აქ კედელზე ყოველი პატარა ლაქა იციან, ყოველ მერხზე გაკაწრული პატარა ხაზი.

აქ ყველაფერი ისე ნაცნობია და ჩვეულებრივი...

სანამ დაფას არ აეკვრება ჭრელი რუქა, სანამ რუქაზე არ გასრიალდება პატარა ჯოხი და თხრობას არ დაიწყებს თამარ არღულიანი.

მაშინ სადღაც უჩინარდებიან საკლასო მერხები, მაშინ ამ ოთახში ვეებერთელა სამყარო შემოდის უდაბნოებით, ტბებითა და ოკეანეებით...

სადღაც, ცნობიერების მიღმა, დარეკავს ზარი, მაგრამ კიდევ ბევრი წამი გაივლის, ვიდრე ბავშვების მზერა ნაცნობ საგნებს გაარჩევს.

ჰო, ეს ხომ ჩვენი საკლასო ოთახია — მზიანი და წყნარი...

რუკასთან ახალგაზრდა ქალი დგას დაბლადაშვებული ჯოხით და ილიმება.

—:—:—

ერთხელ საკლასო ოთახში მკვირცხლი ნაბიჯით შემოვიდა ახალგაზრდა მაღალი ქალი. იცინოდა. კეთილი თვალები ჰქონდა, და როგორც მერე ბავშვები ამბობდნენ, ყველა ერთბაშად მოიხიბლა. ჯერ მოწაფეებს გაეცნო, მერე ოთახს მოავლო თვალი და გაოცებით იკითხა:

— გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე რატომ სხედხართ?

გოგონებმა დაიმორცხვეს, ბიჭები ქვეშ-ქვეშ ილიმებოდნენ.

— ასე გვირჩევნია, — სთქვა იმან, ვინც, ეტყობა, სხვებზე თამამი იყო.

მეორე დღესაც ისე დაუხვდნენ. მასწავლებელმა წყენა არ შეიმჩნია თვითონ გადასვა ბავშვები და ცალკე რვეულში სია შეადგინა ვინ ვის-



ფოტო მ. ალპერტის და გ. თიკანაძის.

თან იჯდა. იმ დღეს გეოგრაფიის მასწავლებელს სიტყვაც არ უთქვამს საგნის შესახებ: მხოლოდ მეგობრობაზე, ამხანაგობაზე და სიყვარულზე ესაუბრებოდა ბავშვებს. შემდეგ გაკვეთილზე ის პატარა რვეული აღარ გაუშლია, სია რომ ჰქონდა შედგენილი: თვითონ დამსხდარიყვნენ ერთად გოგო-ბიჭები.

—:—:—

მას ხშირად ეკითხებიან: «ასე მაინც როგორ შეაყვარე ბავშვებს თავი. ძალიან მკაცრი ხარ თუ ძალიან რბილი, ეჩხუბები თუ ეფერები? როგორ ხდება, რომ შენს საგანში ყველას აქვს დავალებების რვეული, რომ სამასი მოსწავლიდან არც ერთს არა აქვს გეოგრაფიაში ორიანი? რომ შენთან შეხვედრის დროს სიამოვნებისაგან წითლდებიან ბავშვები?»

«იქნებ იმიტომ, რომ ყველა მათგანი ძალიან მიყვარს, — ფიქრობს თამარი, იმიტომ რომ შვილი არა მყავს, მაგრამ არასოდეს გამომიცდია მარტოობის გრძნობა. მე ხომ მოუთმენლად ველოდები ყოველ პირველ სექტემბერს. ბავშვები კი ამას გრძნობენ. ჩვენზე კარგად გრძნობენ...»

უკანასკნელი გაკვეთილი რახანია გამოვიდა, მაგრამ ადგილიდან არავინ იძვრის, როგორ მოელოდნენ ამ დღეს და ახლა...

ახლა ადგილიდან აღარავინ იძვრის. არავის უნდა გავიდეს კარებში და ოთახში დასტოვოს თავისი ბავშვობა.

დამრიგებელს ამ დღისათვის მომზადებული სიტყვები დაავიწყდა. სიტყვებმა თითქო დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა. პირველად რომ შემოაღო ამ ოთახის კარი, მერხებთან ბავშვები ისხდნენ. როგორ და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალებულან, როგორ დავაჭკაცებულან! — ახლა ამჩნევს თამარი. მისთვის კი მუდამ ბავშვები იყვნენ. «შვილი არა გყავს და საზრუნავი მაინც არ გაკლიაო», — იცინოდნენ ხშირად მეგობრები.

— გახსოვთ, პატივცემულო მასწავლებელო, — ფიქრებიდან გამოჰყავს გოგონას ხმას.

და თითქოს მოვარდა მოგონებათა ნიაღვარი. ერთმანეთს აღარ აცლიან:

«გახსოვთ?»

«გახსოვთ?»

«...სკოლაში რომ რუკები არ გვქონდა, როგორ დავწებეთ ძველები, როგორ მოვაწყეთ გეოგრაფიის კაბინეტი, ნორჩ ნატურალისტთა სადგურში რომ გავგზავნეთ ჩვენი კოლექციები.. პირველად რომ კინო გავუშვით, ახლა ხომ ყველა კლასში თვითონ მოწაფეებმა ისწავლეს სასწავლო კინოფილმების გაშვება. პირველად ხომ აქ დავინახეთ ინდოეთი, სამხრეთ ამერიკა, ჩინეთი. ან რომელ ჩვენგანს დაავიწყდება ალპინიადები, გაზაფხულზე ზურგჩანთამოკიდებულები რომ გავუყვებოდით ენგურის ხეობას, მერე მწვერვალებისაკენ წავიდოდით...»

გვიან სტოვებენ საკლასო ოთახს — უკანასკნელი გაკვეთილი რახანია გამოვიდა. უკანასკნელად მიაცილებენ მასწავლებელს სახლში. სახლის ზღურბლთან რომ ემშვიდობებიან, ზოგიერთს ცრემლს ამჩნევს თვალებში, თვითონაც ყელში რაღაც ებჯინება. «მაინც ასე როგორ შეაყვარე შენს ბავშვებს თავი», — ეკითხებიან ხოლმე თამარს. «შეუყვარდები, როგორ არ შეუყვარდები, — ფიქრობს ის ახლა, — ისინი ხომ ისეთი კარგები არიან. შეუყვარდები.

თუ გულით გინდა,

თუ კი შენც გეყვარება,

ხოუ მოახერხებ იმის დავიწყებას, რომ თქვენს შორის ათეულზე მეტი წელი დევს».

შემდეგ, ალბათ, ბევრჯერ გააცილებენ თამარ არღულიანს ბავშვები. ესენი არა, სხვები. ასეთია მასწავლებლის ხვედრი: ზრუნავ, ფიქრობ, გიხარია, დარდობ. გაზრდი და — გაგიფრინდება.

მერე ისევ იწყებ თავიდან.



ლატფარის გადასასვლელთან ცხენი დაუფრთხა და მამამ შეაყენა დროზე.

— შეკრთიო? — ჩაჰკითხა, — ასეთ ხიფათებს უნდა მიეჩვიოო აწი.

შემდეგ ბილიკებს დაუყვნენ, ვიწროს, დაქანებულს. მიდიოდა ქალიშვილი სვანეთიდან შორს, ქალაქისაკენ, მიდიოდა და ეშინოდა, იქ, სწორ გზაზე როგორ ვიაროო, მთებზე სიარულს ჩვეულმა. გზად იმახსოვრებდა ადგილებს, რომლებსაც მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ნახავდა.

ხუთი წელიც გავიდა, და დაბრუნდა სვანეთში მეტყევე-ინჟინრად.

— სვანი ქალი და ინჟინერი? — გაიკვირვეს მამაკაცებმა. — რას გააკეთებსო?

აკეთებდა იმაზე მეტს, ვიდრე ვაჟკაცები. არჩევდა ხეებს, სწავლობდა დასაცურებელ ადგილებს, გადადიოდა უბნიდან უბანში, ხშირად ღამითაც, რომ დილით ადგილზე ყოფილიყო და საქმეც დროით დაეწყოთ. უვლია ფეხით კილომეტრები წვიმაში, ქარში... ხიფათშიც ბევრჯერ ყოფილა, ოცმეტრიან ორმოშიაც გაუთევია ღამე, სადაც უგზოობის გამო ჩაუვარდა ცხენი... ამხანაგებმა უშველეს, მოსძებნეს.

სვანებს აღარ უკვირთ, რომ ქალია ინჟინერი, მითუმეტეს, ისეთი როგორიც ქეთევან კახიანია, ორი «ვაჟკაცის» დედა.

სადღაა ის დრო, ქალი რომ კერიას ვერ შორდებოდა. ქალები გავიდნენ სვანეთიდან სასწავლებლად, სამუშაოზე.

ახლა ლატფარის გადასასვლელს როდი დაუყვებიან გზად მიმავალნი, ან ბილიკებზე როდი დაუფრთხებათ ცხენი. საავტომობილო და საჰაერო გზები აკავშირებს მთას ბართან, ამ გზით მიდიან სასწავლებლად, ამ გზითვე ბრუნდებიან ინჟინრებად, ექიმებად, პედაგოგებად იქ, სადაც არწივებია, სადაც ენგურია, სადაც მთების იქით ისევ მთებია.

ნანული ქორიძე,
ლია კაკაბაძე.
მესტია.

## ქალავ, შეჩერდი წამითა!

მზეს გაუცინა იელმა,
ორთქლის ღრუბელმა დამფარა...
ბალახში ცელმა იელვა,
შეკრთა, ატირდა ფამფარა.

ცელით მიმიძღვის ქალი წინ,
პარსავს იალაღს მწვანიანს;
წელამდი წვდება ქალიწი
შავთვალას, ლერწმის ტანიანს.

მივდევ. ვულესავ პირს ცელსა,
ვკაფავ დიყსა და ღოლოსა.
გამექცა, გასცდა ცირცელსა,
გავიდა ქედის ბოლოსა.

გამასწრო. უი, მაჯობა!
მრცხვენია ჩემი თავისა...
შემატყო უილაჯობა
ქალმა მუხლის და მკლავისა.

დავსველდი ღვიის ნამითა,
ძლივს ვიქნევ დაღლილ მკლავსაო...
ქალავ, შეჩერდი წამითა,
საქვეყნოდ რად მჭრი თავსაო!

* * *

მწვერვალზე ქარი წივის,
ნისლებს აწვალებს, წელავს;
წინწკლავს წვეთები წვიმის
შავნაწნავიან მწველავს.

მოაქვს მთის წყალი სურით,
შვენის ღიმილი მწველი...
ძროხას უსკდება ცური,
უკვე მესამედ წველის.

ცხვარში ზღვასავის ღელავს
რძის ქაფიანი ჩქერი...
სახე უცინის მწველავს
მზისა და მთვარის ფერი.

მწვერვალზე ქარი წივის,
ნისლებს აწვალებს, წელავს;
წინწკლავს წვეთები წვიმის
შავნაწნავიან მწველავს.

ვალერიან ხალლიანი
ბეჩო, ზემო სვანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კ. ლოლაძე

# ცხოვრება წინაა...

ჩამავალი მზის სხივი კარადის სარკეს დაეცა, აციალდა და ჩაქრა. ოთახში ბინდი ჩამოდგა. ჩრდილები სწრაფად ინაცვლებდნენ ადგილს. ბინდთან ერთად მდუმარება დამკვიდრებულიყო. სიჩუმეს დროგამოშვებით ავტომანქანების ხმაური არღვევდა, ერთი წამით ინათებდა მანქანის ფარი და ისევ ჩაქრებოდა...

საწოლზე ვიღაც შეირხა, შეირხა კი არა, თმის კულულებმა გადაინაცვლეს ადგილი. საწოლზე ქალი იწვა, სახე თითქოს გაქვავებოდა, თვალები ჭერისათვის მიეპყრო. გადიოდა წამები, წუთები, საათი, მდუმარებას კი არაფერი არღვევდა.

მოულოდნელად ნელი, გულიდან ამოხეთქილი კვნესა გაისმა. თავისივე კვნესამ შეაკრთო ქალი...

ღია სარკმელში სიო შემოიჭრა, ფარდები ააშრიალა. ქალს ეზოს კარების ჭრიალის ხმა ჩაესმა... ოთახში ვიღაც შემოვიდა, საწოლს მიუახლოვდა და დადგა. «ედიშერი, – გაიფიქრა ქალმა, — მაგრამ რისთვის მოსულა»?

— მაგდა! – გაისმა ჩურჩული, — მაგდა... — საწოლთან დაიხარა, ქალის კულულებს ნაზად შეახო ხელი და მოჩვენებასავით გაქრა.

ისევ გაიჭრიალა კარმა. მაგდა შეირხა.

ოჰ, როგორ დაიტანჯა!

ხვალ გათავდება ყველაფერი, წავიდა გურამი, წავიდა და აღარ დაბრუნდება. ახლა იქ, პროზექტურაში წევს, მდუმარე და გაყინული...

— საბრალო თავო ჩემო! — აღმოხდა ქალს. კვლავ შეირხა საწოლი, შეტრიალდა ქალი, თავი ბალიშში ჩარგო და მოგონებებს მიენდო.

...ქვით მოკირწყლული დიდი ეზო. ბავშვების ცელქობა და ჟრიამული, მათ შორის ორი თმახუჭუჭა ბიჭუნა — ერთი ანცი, დაუდეგარი, მეორე — წყნარი, დინჯი. ოჰ, როგორ უყვარდა მაგდას გურამი და ედიშერი, მაგრამ გული უფრო გურამისაკენ მიუწევდა, მეტს ფიქრობდა მასზე. ერთად სწავლობდნენ საშუალო სკოლაში, ერთად დაამთავრეს უმაღლესიც და როდესაც ცხოვრების საგზური მიიღეს, მათი გზა ორად გაიყო.

მაგდამ გურამს მიანდო გული.

ტკბილი იყო ქორწინების პირველი წლები. ოცნება მომავალზე... ედიშერის შეხვედრა აკრთობდა მხოლოდ, მისი გაფითრებული სახე, სევდიანი ღიმილი. იცოდა მაგდამ, კარგად იცოდა ამ სევდის მიზეზი, მაგრამ რას უშველიდა?..

გავიდა წლები. ქალის გულსაც ეწვია სევდა და ვარამი. გზას ასცდა გურამი... დააპატიმრეს... განთავისუფლების შემდეგ კი სულ დაიღუპა, ამაო აღმოჩნდა მაგდას მუდარა და ცრემლები, ახლა კი...

ქალი წამოდგა, თვალი მოავლო ირგვლივ, ოთახში მთვარის შუქი იღვრებოდა, სინათლე და სიმშვიდე ჩამომდგარიყო.

ვითომ დამთავრდა ყველაფერი? არა და არა! მაგდას ელოდება მშობლიური ქარხანა, საყვარელი კოლექტივი. ცხოვრება ჯერ კიდევ წინაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბევრჯერ დასთენებია

ქეთევან ჭილაშვილი

მე-2 სამშობიარო სახლში გვიან ღამით ფეხმძიმე ქალი მოიყვანეს, შეშფოთებულები იყვნენ მისი ახლობლები, მოლოგინებას საშიშროება ახლდა—ორივე ფეხზე ტრომბოფლებიტი.

მორიგე ექიმს, ლიზა ბერიშვილს შეუმჩნეველი არ დარჩა მშობიარის უიმედობა.

— მშობიარობა უმტკივნეულოა, თქვენი წუხილი მხოლოდ დედობის საწინდარია,— გაამხნევა ექიმმა და მშობიარის წინ აფუსფუსდა.

— ჩემი მდგომარეობა სათუოა, ექიმო!— წუხდა ქალი.

— საშიში არაფერია.. ჩვენ რისთვისა ვართ? არაფერს გაგიჭირვებთ!

მორიგე ექიმი ღიმილს არ იშორებდა სახიდან, სანუგეშო სიტყვას არ ულევდა ქალს. ტკბილი სიტყვა ხომ ყველაზე უებარი წამალია ავადმყოფისათვის. მშობიარეს იმე-



დი მიეცა. რას წარმოიდგენდა, რომ ექიმის ნათელი ღიმილი და ტკბილ-მოუბრობა მხოლოდ შიშის გამქარვებელი იყო, ნამდვილად კი იგი სიკვდილს ებრძოდა.

ბავშვი ატირდა: პირველად შეკრთა დედის გული. „ჩემო პატარავ“ ჩურჩულებს იგი.

საფრთხე აცილებულია, ექიმი სკამზე ჩამოჯდა სულისმოსათქმელად. ვერ შეეჩვია გადარჩენილი სიცოცხლის ზეიმს უცრემლოდ· აგერ უკვე 34 წელია ემსახურება ამ საქმეს. ახლაც ისევე დაენამა თვალები, როგორც ამ სამი ათეული წლის წინათ, პირველი დამოუკიდებელი ოპერაციის შემდეგ საგარეჯოს საავადმყოფოში, 1929 წელს.

...კუპრი ღამე იდგა. ქარი ბობოქრობდა, ახალგაზრდა ქალს პირველად დაალამდა საკუთარ ჭერქვეშ მარტოდ. შიშატანილს კარებისათვის მაგიდა მიედგა, ზედ სკამი წამოედგა, რომ მცირეოდენ მოძრაობასაც ხმაური გამოეწვია. თვითონ საწოლის ერთ კუთხეში მიყუჟულიყო ფიქრდახვეული. კარებზე კაკუნი გაისმა. შეკრთა ექიმი, მიაყურა, სმენამ ხომ არ მომატყუაო.

კაკუნი გაემეორდა.

— ვინ არის?—წამოდგა და კარებს მიაჩერდა.

— ექიმო, მეზობელი ვარ... დედაკაცი შავ დღეში მყავს, შენ გახარებას, ნუ დამხარდები!—ემუდარებოდა ვიღაც.

მოვალეობის გრძნობამ შიში გაუკრთო, კარებს ბარიკადები ჩამოაცალა და მოსულს გაჰყვა.

ავადმყოფს ექიმბაშის ხელი დასტყობოდა.

— ახლავე საავადმყოფოში!—იყო ექიმის განკარგულება. ეს პირველი დამოუკიდებელი ოპერაცია იყო რაიონული საავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმ გინეკოლოგისა...

აზრიანად, სწრაფად საქმობდა მკურნალი და როდესაც ტკივილებით გაოგნებულ ქალს ოპერაციის შემდეგ მსუბუქი ძილი წამოეპარა, ახალგაზრდა გინეკოლოგმა ჯერ არ განცდილი ბედნიერება იგრძნო.

„ოქროს ხელი აქვს ჩვენს ლიზიკო ექიმს“,—მალე დაირხა ხმა საგარეჯოში და „ლიზიკო ექიმი“ მათი საიმედო მკურნალი და უახლოესი მეგობარი გახდა. ყველგან იყო, სადაც უხმობდნენ...

...სამორიგეოში ისევ ფუსფუსებენ მედმუშაკები. თითქოს მთელი ეს დრო გულხელდაკრეფილი ყოფილიყოს, ისე მხნედ და ხალისიანად ეგებება მორიგე ექიმი ახალ მშობიარეს. ჩანს, ახალგაზრდობა მარტო ჭაბუკობის წლების საკუთრება კი არ არის—ადამიანის ხასიათია.



— ბიჭები იბადებიან! —ხარობს ექიმი და სიყვარულით დასცქერის ახალშობილს. ბავშვი კარგად არის, დედა კი სისხლის შეუჩერებელმა დენამ განსაცდელში ჩააგდო.

ისევ დაიჭიმა მორიგე ექიმის ნერვები. კვლავ თავდადებული მზრუნველობით დასტრიალებს ავადმყოფს. ყველაფერი კეთილად მთავრდება.

თეთრად დაათენდა ექიმს.

ვინ იცის ეს მერამდენე მორიგეობაა...

სამუშაო საათები დამთავრდა. ზანტად იხდის ექიმი ბერიშვილი თეთრ ხალათს, აქაურობა არ ეთმობა.



— მელოგინე რაღაც შეწუხებული ჩანდა! — გაახსენდა ახალგაზრდა ქალის სახე.— მშობიარობა კარგი ჰქონდა, არაფერი უნდა აწუხებდეს...

ექიმმა ნახევრად გახდილი ხალათი ისევ ჩაიცვა და დაუღალავი ნაბიჯით აჰყვა კიბეებს.

— თავს როგორა გრძნობთ? ბიჭი ხომ კარგად სწოვს ძუძუს?—მიუჯდა მელოგინეს.

— სწოვს, მეც არა მიჭირს რა.

— მაშ მოწყენილი რადა ხართ?—ახლობელივით ჩაეკითხა მიზეზი.

ძნელია გული არ გადაუშალო ასეთ ყურადღებიან ადამიანს.

— ხელმოუწერელი ვარ.. გაბუტულები ვართ...—ატირდა ახალგაზრდა ქალი.

— ნუ სტირით, ნერვიულობა გავნებთ, ბავშვისთვისაც ცუდია... ისეთი ბიჭუნა გყავთ, ქვის გული უნდა ჰქონდეს მის მამას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეგირიგდეთ, — ანუგეშა ექიმმა და ისე, სასწვათაშორისოდ, მეგობრის მისამართი ჰკითხა.

ლიზა ბერიშვილმა ბავშვის მამა დაიბარა. დიდხანს, დიდხანს ესაუბრა ოჯახზე, მეუღლისა და მამის მოვალეობაზე.

— კარგი ბიჭია, ექიმო!—ვაჟს გული შეუქანდა შვილის ნახვისას. კეთილ სიტყვას დიდი ძალა აქვს!

ბედნიერი სურვილებით გაისტუმრა ლიზა ბერიშვილმა ახალგაზრდა წყვილი თავისი პაწია პირმშოთი. ახალგაზრდებს სიტყვა ვერ ეპოვათ უანგარო ექიმისა და გულისხმიერი მოქალაქის სამადლობლად.

ექიმი ლიზა ბერიშვილი უშვილო ქალებსაც მკურნალობს.

არა ერთი და ორი. წლობით უშვილო ქალი ბედნიერი დედა გახდა ექიმის მადლიანი ხელის წყალობით. ამას მოწმობენ ის უამრავი ბარათები და გულთბილი წარწერები პატარა ბავშვების სურათებზე, რომლებიც დაგროვებია ექიმს მთელი ამ ხნის განმავლობაში. აი, ზოგიერთი მათგანი: „უნდა იცოდეთ, ქ-ნო ლიზა, როგორი ძვირფასი გოგო მაჩუქეთ. პატარა ნატო ყველაზე უფრო საყვარელია ჩვენს ოჯახში, ალბათ თქვენთვისაც სამაყო უნდა იყვეს". — იწერებიან ხაშურიდან.



გულითად მადლობას უთვლიან ექიმს თელავიდან ახალგაზრდა მშობლები სიხარულაშვილები:

„გაგვიმართლა იმედი ჩვენც და თქვენც ჩვენი ოჯახის სიხარულმა. ჩვენმა პატარა ეთერიმ. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი ცელქი, სიცოცხლით სავსე და ეშმაკი გოგონაა, თამაშიც ისწავლა. მადლობას გითვლით და გისურვებთ, რომ კიდევ მრავალი დედა გაგვკურნოთ თქვენი მადლიანი ხელით და მრავალი გოგო-ბიჭი შესძენოდეთ მშობლებსა და ჩვენს საქართველოს."

გადაათვალიერებთ პატარების სურათებს და სიხარულით წაიკითხავთ:

„სახსოვრად ძვირფას მეორე დედიკოს,— გული გაგნიძისაგან."

„მადლობა და დიდი სიყვარული დეიდა ლიზას ჩემი ქვეყნად მოვლინებისათვის.—პატარა მზიასაგან".

მადლობისა და სიყვარულის გამომხატველი ეს გულწრფელი ნაწერები ფასდაუდებელი ჯილდოა მოკრძალებული და ჩუმი ექიმისათვის.

# ᲐᲠ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲝᲗ ᲓᲔᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

არის ერთი სიხარული ცხოვრებაში, რომელსაც ვერაფერი შეედრება, ყველა ქალისათვის ახლობელი — დედობის სიხარული. საბრალოა ქალი, რომელსაც ის არ განუცდია, მაგრამ უფრო საბრალოა ის, ვინაც თვითონ წაართვა თავს ეს ბედნიერება.

ხშირად, როცა ქალი თხოვდება და ახალ ცხოვრებას იწყებს, როცა მომავალზე ფიქრობს და ათასი მიზანი აქვს მისაღწევი, შეიძლება ორსულობა „ხელისშემშლელ ბოიკილად" მოეჩვენოს, იფიქროს, რომ წინ კიდევ ბევრი დრო აქვს და შემდეგშიც მოესწრება „შვილებით დატვირთვას", და ორსულობა ხელოვნურად მოიშალოს.

ზოგჯერ ეს პირველი აბორტი საბედისწერო აღმოჩნდება ხოლმე... და წლების გავლის შემდეგ, როცა ქალში გაიღვიძებს დედობის საუკუნეობრივი ინსტიქტი, როცა მას დაებადება ბავშვის ყოლისა და გაზრდის მძაფრი სურვილი, აღმოჩნდება, რომ სამუდამოდ დაუკარგავს შვილის გაჩენის უნარი.

ჩვენი დარგის სპეციალისტებმა კარგად იციან, თუ როგორი ტრაგედია დატრიალდება ხოლმე ოჯახში უშვილობის შედეგად. ხშირად ეს ხდება მიზეზი ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებისა, განთვისებისა და ოჯახის დაშლისა.

ხშირად უშვილობაში ბრალი მამაკაცს მიუძღვის. თუ სათანადო სამედიცინო შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ჯანმრთელია, მაშინ ქალმა ექიმს უნდა მიმართოს. უშვილობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: სასქესო ორგანოების განვითარების ჩამორჩენით, სხვადასხვა სახის მანკით, გონორეით დაავადებით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში უშვილობას სასქესო ორგანოების ანთება იწვევს, რომელიც ხშირად აბორტის შემდეგ ვითარდება.

ყველა ქალმა უნდა იცოდეს, რომ აბორტი ოპერაციაა, და მეტად რთული ოპერაციაც! ამიტომ მისი ჩატარება ბინაზე ყოვლად დაუშვებელია. ზოგჯერ ექიმი, რომელიც ბინაზე აკეთებს აბორტს, დაბალი კვალიფიკაციისაა და, რაც მთავარია, მას შიშისა და ნერვიულობის ქვეშ უხდება ოპერაციის წარმოება. ამიტომ ასეთ პირობებში ჩატარებული აბორტი ხშირად რთულდება: საშვილოსნოში რჩება სანაყოფო კვერცხის ნაწილები, ვითარდება სისხლდენა, ინფექცია იჭრება შინაგან სასქესო ორგანოებში. აბორტის დროს შეიძლება დაირღვეს საშვილოსნოს მთლიანობა და დაზიანდეს მუცლის ღრუ. მაგალითად, თბილისში ერთერთმა ექიმმა ბინაზე აბორტის კეთების დროს გაგლიჯა საშვილოსნოს კედელი, რამდენიმე ადგილას დააზიანა შარდბუშტი, ნაწლავები და ნაწლავის მარყუჟი ბადექონთან ერთად გარეთ გამოიტანა. ქალი მძიმე მდგომარეობაში მოიყვანეს საავადმყოფოში.

რომ აცილებული ყოფილიყო ის საფრთხე, რომელიც ქალს ბინაზე აბორტის გაკეთებით ემუქრება, მთავრობამ გამოსცა დადგენილება სამკურნალო დაწესებულებებში აბორტის დაშვების შესახებ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აბორტი იდეალურ პირობებშიც რომ გაკეთდეს, ქალი მაინც არ არის დაზღვეული გართულებისაგან; აბორტის შემდეგ ძალიან ხშირად სასქესო ორგანოებში ანთებითი პროცესი ვითარდება, რაც უშვილობას იწვევს. ამიტომაა სახიფათო პირველი ორსულობის მოშლა.

უარეს შედეგს იძლევა ორსულობის შეწყვეტა სხვა გზით: საშვილოსნოს მასაჟი, ან მედიკამენტების მიღება — დასალევი იქნება ის თუ ინექციების სახით. უკანასკნელ შემთხვევაში ორსულობა იშვიათად წყდება. ინექციების გაკეთება კი არღვევს მენსტრუალურ ციკლს.

ზოგიერთი ქალი „გულშემატკივარი" და „გამოცდილი" მეგობრების რჩევით თვითონ ცდილობს სხვადასხვა „იოლი" წესით თავი გაინთავისუფლოს ნაყოფისაგან; ამ დროს შეიძლება ორგანიზმში შეიჭრეს ინფექცია, დაზიანდეს საშვილოსნო ან მეზობელი ორგანოები. რამდენი ქალის სიცოცხლე შეუწირავს ასეთ სახიფათო ცდებს!

ხშირად ორსულობის შესაწყვეტად საშვილოსნოში იოდის ხსნარის შეშხაპუნებას მიმართავენ. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ორსულობა წყდება, მაგრამ შემდეგში, როგორც წესი, ქალი უშვილო რჩება, რადგან იოდი ანადგურებს ლორწოვან გარსს, ვითარდება ანთებითი მოვლენები, ლულების სანათური ზედმეტად ვიწროვდება ან სრულიად იხურება, საგრძნობლად ქვეითდება საკვერცხეების ფუნქცია; თუ შემდეგში ქალმა იმკურნალა, შეიძლება ორსულობა განვითარდეს, მაგრამ არა საშვილოსნოში, არამედ საშვილოსნოს გარეთ.

ქალმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ დედობა არის ყველაზე საპატიო საზოგადოებრივი მოვალეობა, უდიდესი ბედნიერება, რომელსაც გაფრთხილება უნდა, თორემ შემდეგ უკვე გვიანია დარდი დაკარგულ ბედნიერებაზე, ექიმებთან სიარული, წლების განმავლობაში თავდადებული მკურნალობა... რადგან, სამწუხაროდ, ეს მკურნალობა ყოველთვის სასურველ შედეგს არ იძლევა.

პროფესორი აკაკი ბაქრაძე.

## სასარგებლო რჩევა

ბოსტნეულის სუპის მომზადებისას ბოსტნეული ჩაალაგეთ მდუღარე მარილიან წყალში და ხარშეთ ნელ ცეცხლზე. ასე მოხარშული ბოსტნეული ინარჩუნებს მასში შემავალ „C" ვიტამინს. ეს სუპი უნდა მოამზადოთ სუფრაზე მიტანისას, ადრე მოხარშულში მცირდება ვიტამინების რაოდენობა.

კარტოფილი მოხარშეთ კანით, ამასთან ნელ ცეცხლზე კანით მოხარშული კარტოფილი უფრო მეტად ინარჩუნებს ვიტამინებს, ვიდრე გაფცქვნილი და დაჭრილი. საერთოდ მოხარშული კარტოფილი და კარტოფილის პიურე გაცილებით მდიდარია ვიტამინებითა და კალორიებით, ვიდრე შემწვარი. ამ უკანასკნელს უფრო ძნელადაც ითვისებს ორგანიზმი.

ძალიან გემრიელი და ნოყიერია აგრეთვე ღადარში ან ღუმელში გაუფცქვნელად შემწვარი კარტოფილი.

შემწვარი თევზი განსაკუთრებით გემრიელია, თუ შეწვამდე რამდენიმე წუთს რძეში ჩავდებთ, შემდეგ ფქვილში ამოვავლებთ და შესაწვავად ჩავალაგებთ ადუღებულ ზეთში. შეწვის დროს რომ არ დაიშალოს, თევზს შეწვამდე დააყარეთ მარილი და გააჩერეთ ასე 10—15 წუთი.

თევზს ქერცლი ადვილად გასცილდება, თუ მას დავიჭერთ ბოლოთი და დანას გავატარებთ ბოლოდან თავისაკენ. თუ ქერცლი მაინც ძნელად ცილდება, ერთი წამით იგი მდუღარე წყალში ჩადეთ. მძაფრი სუნის გასაქრობად ზეთში, რომელშიც თევზს სწვავთ, ჩააწყვეთ კარტოფილის რამდენიმე თხელი ნაჭერი.

ახალი კვერცხი მარილიან წყალში ჩაშვების დროს ჭურჭლის ძირზე ვარდება, ძველი კვერცხი კი ზედაპირზე ამოტივტივდება.

მოხარშვის დროს კვერცხი რომ არ გატყდეს, წყალში წინასწარ ჩაყარეთ ცოტა მარილი.

კვერცხი ალუმინის ჭურჭელში არ ათქვიფოთ, რადგან ალუმინი ცილას მუქს, ხოლო გულს მომწვანო ფერს აძლევს. კვერცხის ასათქვეფად ყველას სჯობია იხმაროთ ფაიფურის ჭურჭელი.

ცხელი რძე ადვილად ითვისებს სხვადასხვა სუნს, ამიტომ საჭიროა რძის ასადუღებლად ყოველთვის გქონდეთ ცალკე ქვაბი, ამასთან სასურველია სქელძირიანი. ამით თავიდან აიცდენთ რძის მიწვას. რძე საერთოდ ნაკლებად მიიწვება ქვაბში, თუ მას წინასწარ გამოვავლებთ ცივ წყალს.

ბოსტნეულისა და მწვანილის გათლისა და დაჭრის შემდეგ ხელებს არასასიამოვნო ყვითელი ფერი გადაჰკრავს. ამის თავიდან ასაცილებლად, ვიდრე საქმეს შეუდგებოდეთ, ხელებზე ძმარი გადაივლეთ და დააცადეთ გაშრობა შეუმშრალებლივ.

კარტოფილის ნაფცქვენები ღუმელში შეყარეთ, რადგან მათი წვისას წარმოშობილი ორთქლი ჭვარტლისაგან წმენდს კვამლსადენ მილებს.

კვერცხი ხანგრძლივად ინახება, თუ გარედან ცილას წაუსვამთ, გააშრობთ და შემდეგ ქაღალდებში შეხვეულს გრილ ადგილას შეინახავთ.

კომბოსტოს ხარშვისას თავიდან რომ ავიცილოთ არასასიამოვნო სუნი, ქვაბში უნდა ჩავდოთ სუფთა დოლბანდში შეხვეული, პურის გულის ნაჭერი.

საზამთრო ტანსაცმელს ნაფტალინის სუნი რომ დაეკარგოს, კარადაში უნდა მოვაბნიოთ მდოგვის ფხვნილი.

გაბუშვებისათვის

## გამოცანები

აბა, იგი რა კაცია
ათი ჩოხა რომ აცვია.

უჩინარია თვალითა,
ხახლში იჭრება ძალითა.

კბილები მაქვს, პირი არა,
მაგრამ ჩემთვის ესეც კმარა,
როცა მოდის ჩემი ჯერი,
კიდეც ვჭამ და კიდეც ვმღერი.

ცული, ხერხი თუ კერია,
ყველა იმისი მტერია.

თავზე ახურავთ, არ არის ქუდი,
ორი ყური აქვს და ერთი კუდი.

წვეტიანი და თავბრტყელა,
თავში ჩაქუჩს ურტყამს ყველა.

სახლის თავზე კოხტად ვდგავარ,
სიტყვებს ვიჭერ. აბა, რა ვარ?

ზამთარში—მოკლე,
ზაფხულში—გრძელი.
გამოსაცნობად
არ არის ძნელი.

თავი აქვს და ტანი არა,
მაგრამ მისთვის ესეც კმარა,
დაბლა დახტის, მაღლა დაფრენს,
დიდ-პატარას—ყველას ალხენს.

ორყურა და პირღრიტინა,
მიიჭრის და მიდის წინა.

**ალ. საჩინოელი.**

გამოტყდნენ

თემა რ. შელეგიასი, ნახ. გ. წულაძისა



1. — ტყუილად მალავთ, მაინც გავიგებ, ვინც მურაბა შეჭამა, შუბლზე აწერია.   2. . . . . . .

გარეკანზე — მოკავშირე რესპუბლიკათა დროშები.


რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. **ფასი 3 მან.**

შეკვეთის № 1174, უე 07716.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

**Ежемесячный общественно-политический и художественно—литературный журнал „Сабчота Кали",**

**Издательство ЦК КП Грузии.**



დიდხანს უცქირა. არ დამიფრთხესო — ხეს ეფარებოდა მალვით. მერე მიეპარა გიშრისთვალებას და . . . ახლა კი ჩემი ხარო.

ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილის.

